"დემოკრატების" სახე ხაშურში A2
ვარსკვლავის გაბრწყინება A7
TV-პროგრამა A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
კვირა, 25 მაისი, 2003 წელი. №141 (353)
ფასი 50 თეთრი

ქართული "ფოქს კიდსი" ფინალში ფიფას პრეზიდენტს შეხვდა

გავლენიანმა პრეზიდენტმა სეფე-სიტყვაში საქართველოს მოკავშირეობა დაადასტურა

მიხეილ აბაიშვილი

"დღეს ჩემი გუნდი საქართველოს ნაკრებია და იმედი მაქვს, რომ ევრო-2004-ის ფინალური ეტაპის საგზურს მოვიპოვებთ", - ეს სიტყვები მსოფლიო საფეხბურთო იერარქიაში ყველაზე მაღლა მდგომ პიროვნებას, ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს ეკუთვნის და თუ ამ თავაზიან გამონათქვამში სიმართლის მცირე წილი მაინც ურევია, გამოდის, რომ ჩვენმა გუნდმა გავლენიანი გულშემატკივარი და მოკავშირე შეიძინა.
ფიფას პრეზიდენტის ორდღიანი ვიზიტის მეორე დღის ოფიციალური ნაწილი გუშინ, დილის 9 საათიდან დაიწყო. ბლატერი აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, ფიფას გრანტით აშენებული და ჯერაც ბოლომდე დაუსრულებელი ეროვნული ნაკრების ბაზაზე, თანმხლებ პირებთან ერთად, ამ დროს მოვიდა.

გაგრძელება A8 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზეპ ბლატერი ბავშვებთან განსაკუთრებით ხალისიანი იყო

"ფოქს კიდსი" ბასტი-ბუბუს თანხლებით

გიგა გურასაშვილი

თბილისის უბნებსა და სკვერებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხესა თუ რაიონში მიმოფანტული გოგო-ბიჭების ჭყივილ-კივილმა კულმინაციას "ლოკომოტივის" სტადიონზე მიაღწია. გუშინ "ფოქს კიდსის" თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი გაიმართა. გუშინდელი დღე ბავშვებს, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ. არ დაავიწყდებათ წაგებულებს და მით უმეტეს, არც მათ ვინც ჰოლანდიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ესეც რომ არა, "ფოქს კიდსის" თასის გათამაშების დასკვნით შესარჩევ ეტაპს თბილისში სტუმრად მყოფ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმაც დასდო პატივი. ბავშვები უკეთეს სტუმარს ვერც ინატრებდნენ.

როდესაც ბლატერი "ლოკომოტივზე" გამოჩნდა, შეჯიბრების მონაწილეები მაღალჩინოსან სტუმარს გარს შემოეხვივნენ და ეშმაკურად ზევით-ქვევით აათვალ-ჩაათვალიერეს...

გაგრძელება A5 გვერდზე

ლინ პასკო: ჩვენი პროგრამა, პირველ რიგში, რეგიონული პრობლემების გადაჭრისათვის არის შექმნილი

ლევან ღირსიაშვილი

პოსტსაბჭოთა სივრცე აშშ-ს სტრატეგიული ინტერესის სფეროს რომ განეკუთვნება, ამაზე, უკვე დიდი ხანია, აღარავინ დავობს. ამჯერად, უფრო დიდი ყურადღება თეთრი სახლის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმებსა და გზებზე მახვილდება. ერთ-ერთ ასეთ გზად, ვაშინგტონმა თავად დსთ-ს სივრცეში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ გაერთიანება სუუამ-თან მჭიდრო თანამშრომლობა დასახა და ამ ბლოკში შემავალი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას ცდილობს. ეს გუშინ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც თბილისში სუუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მესამე სხდომის ფარგლებში სუუამ-აშშ-ს შეხვედრაც გაიმართა.

ოფიციალურ ვაშინგტონს თავად სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბატონი ლინ პასკო წარმოადგენდა. ის, ამავდროულად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საკითხთა ბიუროს ხელმძღვანელობს. მისი საქმიანობის არეალს ხმელთაშუაზღვისპირეთის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნები განეკუთვნება. სულ ახლახან კი, ბატონი პასკო აშშ-ს სპეციალური კოორდინატორი იყო მთიანი ყარაბაღის და რეგიონული კონფლიქტების შესახებ მოლაპარაკებებში, ასევე - ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე აშშ-ს მხრიდან. სხვადასხვა დროს, ის მუშაობდა მოსკოვში, ჰონგ-კონგში, ბანგკოკში, პეკინსა და ტაიპეიში. თავისუფლად ფლობს ჩინურ და რუსულ ენებს.

ის თბილისში ხელცარიელი არ ჩამოსულა. ლინ პასკომ სუუამ-ის ქვეყნებს თანამშრომლობის და კოორდინაციისათვის ანტიტერორისტულ და ტრანსნაციონალურ დამნაშავეობებთან ბრძოლის მიზნით, ვირტუალური პროგრამის დაწყება შესთავაზა. კონკრეტულად, თუ რას ისახავს ეს პროგრამა მიზნად, ამაზე ქვემოთ თავად პასკო გასცემს პასუხს.

ვიზიტის ბოლოს იგი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა, რომელთანაც საუბარმა

გაგრძელება A2 გვერდზე

ვოლიტიკა

„ჩარლის" გაკვეთილები დაიწყო

შაბათს კრწანისის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე პროგრამის მესამე ფაზის დაწყების ცერემონია გაიმართა, რომლის პირობითი სახელია "ჩარლი" და მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის მსუბუქ ქვეითთა 113-ე ბატალიონ "შავნაბადას" მომზადებას ითვალისწინებს.

A2

ეკონომიკა

ტრაგედია ზაჰესის დასახლებაში

"რუხაძემ სამივე გასროლა გლუვლულიანი თოფით მოახდინა, არადა მას თან ჰქონდა სამსახურებრივი, "მაკაროვის" სისტემის იარაღი. ეს თოფი კი კანონით თან არ უნდა ჰქონოდა".

A4

ამინდი

თბილისი	27
ქუთაისი	32
ბათუმი	28
სოხუმი	30
ფოთი	30
თელავი	26
ზუგდიდი	33
გორი	25
ახმეტა	26
ჭიათურა	29
გაგრა	29
სამტრედია	32

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1475
ევრო	2.5134
გირვანქა სტერლინგი	3.5129
რუბლი	0.0697

სუუამ-ის "საამური" პერსპექტივები

გიორგი ასანიშვილი

არცთუ დიდი ხნის წინათ, სუუამი კრიზისულ მდგომარეობაში იყო და მისი დაშლა, თითქოს, გარდაუვალი ჩანდა. ორგანიზაციიდან გასვლას აპირებდნენ უზბეკეთი და მოლდოვა. მაგრამ, დრომ აჩვენა, რომ სუუამი სიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნია და მომავალი ნამდვილად გააჩნია. "გაუხარდება ეს ვინმეს, თუ ეწყინება, ფაქტია, რომ ხმები სუუამ-ის დაშლის შესახებ ნაადრევი და გაზვიადებული აღმოჩნდა", - განაცხადა სუუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სუუამი მტკიცედაა

პრეზიდენტმა კახეთი შემოიფრინა

"სპეცნაზმა" ხალხი დაიფრინა

ზაზა ფაჩუაშვილი

კახეთს სტუმრობა არ უკვირს, მაგრამ გუშინდელი დღე მაინც გამორჩეული იყო იმ დალოცვილ საღვინეთში. წინანდალში ერთმანეთს კახეთის დაძმობილებული ქვეყნების წარმომადგენლები შეხვდნენ, რომელთაც თავად პრეზიდენტმა უმასპინძლა.

კახეთის მეგობართა რიგში აღმოჩნდნენ საფრანგეთი, უკრაინა, ავსტრია, ჩინეთი, პოლონეთი, რუმინეთი, გერმანია და რუსეთი, რომელთაც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები წარმოადგენდნენ. ეს ის ხალხია, რომლებმაც კახეთს რეალური დახმარება გაუწიეს და სამომავლოდაც იგივეს დაჰპირდნენ. მათ შორის გამოირჩეული ადგილი უჭირავს საფრანგეთს.

იონის დეპარტამენტის სენატორი ანრი დე რენკური: **"ჩვენ ვიცით და პატივს ვცემთ იმ ფაქტს, რომ ვაზი საქართველოში დაიბადა და დიდად**

გაგრძელება A2 გვერდზე

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

"ნაციონალური" დახვედრა

A2 ინფორმაცია A3 სამართალი A3 საზოგადოება A4 ეკონომიკა A4 უცხოეთი A5 სპორტი A6 განცხადებები A7 რევიუ A8 სპორტი

„ჩარლის" გაკვეთილები დაიწყო

შაბათს, კრწანისის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე, პროგრამის მესამე ფაზის დაწყების ცერემონია გაიმართა, რომლის პირობითი სახელია "ჩარლი" და მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის მსუბუქ ქვეითთა 113-ე ბატალიონ "შავნაბადას" მომზადებას ითვალისწინებს. ფაზა "ჩარლი" მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ბატალიონი საჭირო მოთხოვნებს სრულად არ დააკმაყოფილებს.

აშშ-ს სამხედრო ინსტრუქტორები, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში, მესამე ქართული ბატალიონის მომზადებას იწყებენ. მესამე ფაზის ფარგლებში სწავლებას 630 სამხედრო პირი გაივლის.

როგორც ცერემონიაზე თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, "შავნაბადას" ბატალიონი, რომელმაც ქართულ-აფხაზური სამხედრო დაპირისპირების დროს გმირობით გაითქვა სახელი, კვლავ არსებობს.

მისი თქმით, ეს ქვედანაყოფი ხელახლა ჩამოყალიბდა იმ რეზერვისტებისაგან, ვინც კონტრაქტის საფუძველზე მსახურობის სურვილი გამოთქვა, და ახლა სამი თვის განმავლობაში, ბატალიონი ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით გაივლის მომზადებას.

2002 წელს დაწყებული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში მომზადება უკვე გაიარა "კომანდოსმა" და საჩხერის სამთომსროლელთა ბატალიონმა. სულ სპეცდანიშნულების ოთხი ბატალიონის მომზადებაა გათვალისწინებული.

როგორც დავით თევზაძემ აღნიშნა, პირველი ორი ბატალიონის მომზადების დონე საკმაოდ მაღალია.

თავის მხრივ, ერთ-ერთმა ამერიკელმა ინსტრუქტორმა კაპიტანმა ფილ კუშმანმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ფაზა "ჩარლი" მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ბატალიონი საჭირო მოთხოვნებს სრულად არ დააკმაყოფილებს.

მისი თქმით, თუ სამი თვის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურეები ვერ შეძლებენ სათანადო ცოდნის მიღებას, მათი მომზადება გაგრძელდება.

ინსტრუქტორმა აღნიშნა, რომ სწავლების პროგრამაში შედის საპატრულო ოპერაციების ჩატარება, საფარების მოწყობა, დასახლებულ პუნქტებში სპეცოპერაციების განხორციელება, ხანგრძლივი პატრულირება, სადღეღამისო ოპერაციები.

64 მილიონ-დოლარიანი "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში ქართველი სამხედროების მომზადებაში 66 ამერიკელი ინსტრუქტორი მონაწილეობს, მათ შორის - 25 საზღვაო ფეხოსანი.

მორიგი ბატალიონის მომზადების შემდეგ ხდება ინსტრუქტორების ცვლა.

როგორც პრაიმ-ნიუსს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა მირიან კიკნაძემ აცნობა, უკვე არსებობს "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის შესაძლო გაგრძელებისა და გაფართოების გეგმა.

მან აღნიშნა, რომ საჯარისო ბატალიონების მომზადების პარალელურად, სწავლებას საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტისა და შინაგანი ჯარების თითო ოცეული გადის.

პრაიმ-ნიუსი

ლინ პასკო: ჩვენი პროგრამა, პირველ რიგში, რეგიონული პრობლემების გადაჭრისათვის არის შექმნილი

პირველი გვერდიდან

პროტოკოლით გათვალისწინებულ დროს საგრძნობლად გადააჭარბა. შეხვედრის შემდეგ, ბატონმა პასკომ ქართული მედიის კორპუსისათვის ხანმოკლე ბრიფინგიც გამართა.

"ჩვენი აზრით, ამ პროგრამაში ჩადებულია მრავალი ისეთი პუნქტი, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების განმტკიცებას არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც. ერთი მხრივ, ჩვენ გვაწუხებს ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი, ტრეფიკინგი, საერთაშორისო ნარკობიზნესი და სხვა. მეორე მხრივ კი, მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელია ვაჭრობის განვითარება. ზოგს ჰგონია, რომ ეს ორი საკითხი შეუთავსებელია, მაგრამ თუ დავუკვირდებით, პირველის მოგვარების გარეშე მეორე ვერ მიიღწევა," - განაცხადა ლინ პასკომ.

გიორგი ბუხაიძის ფოტო

ლინ პასკომ კარგად იცის რეგიონის პრობლემები

მისი თქმით, აშშ-ს მუშაობამ ბალკანეთის ქვეყნებში გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო, რადგან, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბალკანეთის რეგიონში საზღვრები დაცულია. **"ჩვენ სუუამ-ის ქვეყნებთან მოლაპარაკების დროს, მათ სწორედ ანტიტერორისტული ვირტუალური პროგრამის განხორციელება შევთავაზეთ. ეს იქნება ვირტუალური ანტიტერორისტული ცენტრი, რომლის საშუალებითაც დასაწყისში მოხდება სუუამ-ის წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციის სრულყოფილი და დროული გაცვლა. მომავალში კი, უფრო კონკრეტული მიზნების განხორციელება გვაქვს დაგეგმილი. მაგალითისათვის, შესაძლებელი გახდება წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო მოსამსახურეების გაცვლა, ერთობლივი ფორუმების მოწყობა და ა.შ."** - განმარტა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ აშშ-ს წინადადების არსი ვირტუალური ცენტრის შექმნის შესახებ.

"24 საათის" შეკითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ტერორიზმთან, ნარკობიზნესთან და ტრეფიკინგთან ბრძოლა რეგიონში, როდესაც არსებობს ისეთი უკონტროლო ტერიტორიები, როგორიც აფახზეთი და ყარაბაღია, ბატონმა პასკომ განაცხადა: **"ჩვენი პროგრამა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რეგიონალური პრობლემების გადაჭრისათვის არის გამიზნული. თუმცა, ყველა პრობლემის მოგვარებას ამ პროგრამას ვერ დავაკისრებთ. მე რამდენჯერმე ვარ ნამყოფი საქართველოსა და კავკასიაში და კარგად ვიცი რეგიონის წინაშე მდგარი პრობლემების არსი. ამდენად, არ იქნება სამართლიანი, თუ მხოლოდ ამ კონკრეტული პროგრამის განხორციელებით ჩვენ ყველა მტკივნეული საკითხის გადაწყვეტას შევეცდებით."** რაც შეეხება შეკითხვას - ხომ არ გამოიწვევს აშშ-სუუამის თანამშრომლობა რუსეთის გაღიზიანებას, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთს გაღიზიანების არანაირი საფუძველი არ გააჩნია.

ამდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბატონი პასკოს სტუმრობა საქართველოში სუუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ფარგლებში, და უკვე კონკრეტული პროექტის შეთავაზება, ცხადყოფს, რომ ვაშინგტონი სუუამ-ის განვითარებით და თანამშრომლობით საკმაოდ დიდ დაინტერესებას იჩენს. რაც შეეხება რუსეთს, მას გაღიზიანებისათვის არა მარტო საფუძველი, არამედ მორალური უფლებაც კი, უკვე დიდი ხანია, აღარ გააჩნია.

სუუამ-ის საამური პერსპექტივები

პირველი გვერდიდან

შეიძლება ითქვას, რომ სუუამ-ის "რენესანსი" მას შემდეგ დაიწყო, რაც ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონით სერიოზულად დაინტერესდა. ოფიციალური ვაშინგტონი, ამჟამად, არა მარტო კურირებს სუუამ-ს და მის ეკონომიკურ პროექტებს აფინანსებს, არამედ მისი წარმომადგენლები ორგანიზაციის ეგიდით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში უშუალოდ არიან ჩართულნი. მაგალითად, თბილისში გუშინ გამართულ, სუუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მესამე სხდომის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპულ და ევროაზიულ საკითხებში ლინ პასკო.

სუუამ-ის მომავალი მარტო ამერიკელებს როდი აინტერესებთ. თავისთავად უკვე მრავლისმთქმელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს დედაქალაქში გამართულ სხდომას, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციის გარდა, ესწრებოდნენ გაერო-ს, ეუთო-ს, ევროკომისიის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ბისეკის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სუუამ-ის "პრესტიჟის" გაზრდის კვალობაზე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მომავალში მისი რიგები კიდევ უფრო გაფართოვდეს. პირველ რიგში, საუბარია რუმინეთსა და ბულგარეთზე. ირაკლი მენაღარიშვილის თქმით, აღნიშნულ ქვეყნებს სუუამ-ისთვის (მას ამჟამად საქართველო თავმჯდომარეობს) ოფიციალური თხოვნით არ მიუმართავთ, მაგრამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის სურვილი არაერთხელ გამოუხატავთ. ამასთან დაკავშირებით, გუშინდელ პრესკონფერენციაზე მოლდოვას დელეგაციის ხელმძღვანელმა სტეფან ლუპაშკომ ფრიად საგულისხმო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, თბილისში გამომგზავრების წინ, მოლდოვას საგარეო საქმეთა სამინისტროს რუმინეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლები ეწვივნენ, რომლებმაც, თავიანთი ქვეყნების სახელით, სუუამ-ში დამკვირვებლებად ყოფნის სურვილი გამოთქვეს.

რაც შეეხება საბჭოს გუშინდელი სხდომის "საოქმო მხარეს", შეიძლება ითქვას შემდეგი: საუბრები შეეხო ისეთ თემებს, როგორებიც არის ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ დანაშაულებებთან ერთობლივი ბრძოლა, სატრანსპორტო მომსახურება და საბაჟო კონტროლის გაძლიერება, აგრეთვე, განხილულ იქნა სუუამი-აშშ-ს "ჩარჩო-პროგრამის" შესრულების მიმდინარეობა. ეს პროგრამა გულისხმობს ტერორიზმთან ბრძოლის ვირტუალური ცენტრის შექმნას, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლას, ინფორმაციის დამუშავების სახელმწიფოთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებას და სხვა. ამასთან, საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი დასკვნითი კომუნიკე.

ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, თავის დროზე, საქართველომ, უკრაინასა და აზერბაიჯანთან ერთად, დატოვა დსთ-ს ფარგლებში არსებული კოლექტიური უშიშროების სტრუქტურა, რადგან იგი **"ოდნავაც ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის უსაფრთხოებას"**. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, სუუამ-ის ფარგლებში შემუშავებული ბევრი პროექტი (მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლა და ნარკოტიკების გავრცელების აღკვეთა), გარკვეულწილად, სწორედ სახელმწიფოს უსაფრთხოებას ემსახურება. ამასთან, მენაღარიშვილმა, ისევე, როგორც სხვა მისმა სუუამ-ელმა კოლეგებმა, პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვეს, რომ სუუამი ეკონომიკური "პროფილის" ორგანიზაციაა და სამხედრო დატვირთვა არ გააჩნია.

თბილისის შეხვედრის დროს განხილული პროექტები ხელმოსაწერად სუუამ-ის ქვეყნების პრეზიდენტების სამიტს წარედგინება, რომელიც მიმდინარე წლის 3-4 ივლისს იალტაში (უკრაინა) გაიმართება.

გალს აფხაზების დამატებითი ძალები იცავენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გალის რაიონში აფხაზური მილიციის დამატებითი ძალები და სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს 150-მდე ჯარისკაცი შეიყვანა. გალის რაიონის ქვედა და ზედა ზონებში დამატებითი ძალების შეყვანა "იკარუსის" მარკის 4 ავტობუსით გუშინწინ, გვიან საღამოს მოხდა.

გალის აფხაზური ადმინისტრაცია გალის რაიონში დამატებითი ძალების შეყვანას საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მოახლოებას უკავშირებს.

აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებით, სოხუმის ხელისუფლება 26 მაისს ქართველ პარტიზანთა გააქტიურებას ვარაუდობს.

დაზუსტებული ინფორმაციით, ჯარისკაცებმა უკვე დაიკავეს მათთვის განკუთვნილი პოზიციები და გუშინ დილიდან, გალის რაიონის აფხაზურ მილიციასთან ერთად, რაიონის ზედა და ქვედა სოფლების საგანგებო რეჟიმში პატრულირებას შეუდგნენ.

ინტერ-პრესი

მოკლედ

თბილისი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს - 26 მაისს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის "ტრენაჟორის" პრეზენტაცია გაიმართება.

პრეზენტაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. British Petroleum-ის (BP) ჯგუფის პრეზიდენტი ლორდ ჯონ ბრაუნი 25-დან 30 მაისამდე სამუშაო ვიზიტით ბაქოს, თბილისსა და სტამბოლს ეწვევა. ამის შესახებ აზერბაიჯანში BP-ის წარმომადგენლობა იუწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 28-29 მაისს, თბილისში, საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის, ფრიდრიხ ებერტის ფონდის, დიდი ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" და ბრიუსელის "ფლამანდიის თავისუფალი ინსტიტუტის" ინიციატივით, რიგით მე-2 კონფერენცია გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის თავმჯდომარის რანგში, 8-12 ივნისს ამერიკაში პირველი ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრება.

ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ იგი საქართველოს პარლამენტის სახელით კიდევ ერთხელ შეეცდება, საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობასა და პარტნიორობასთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა კომიტეტის ხელმძღვანელმა, გროზნოდან ლტოლვილმა 45 წლის ბაუდი ითაევმა და მისმა მოადგილემ, ასევე გროზნოელმა 46 წლის იბრაგიმ სარდალოვმა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, შიმშილობა დაიწყეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ, გუშინ, ორხევის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული ახლადშექმნილი მესტიის ბატალიონი "სვანეთი" მოინახულა. სვანურ ბატალიონში სამწყობრო დათვალიერება პირველად ჩატარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახლადშექმნილი ბატალიონის - "სვანეთის" სვანმა ჯარისკაცებმა ხატზე დაიფიცეს, რომ ერთი წლის განმავლობაში ალკოჰოლური სასმელების მიღებისგან თავს შეიკავებენ და მათზე განპირობებულ ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს არადანიშნულებისამებრ არ გამოიყენებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს, თბილისში სამხედრო აღლუმი აღარ ჩატარდება. თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის განაცხადებით, აღლუმის გადადების მიზეზი დაუფინანსებლობა გახდა. თავდაცვის სამინისტრო 26 მაისის აღლუმის ჩასატარებლად 2 მლნ 900 ათას ლარს ითხოვდა, რაზეც ფინანსთა სამინისტრომ უარი განაცხადა. აღნიშნული 2 მლნ. 900 ათასი ლარით, ასევე, აღლუმში მონაწილე სამხედრო ტექნიკის გარემონტება იყო დაგეგმილი. **ინტერ-პრესი**

პრეზიდენტმა კახეთი შემოიფრინა

პირველი გვერდიდან

მოხარული ვიქნებით, დავეხმაროთ კახეთს მევენახეობა-მეღვინეობის საქმეში."

სენატორის სიტყვას რომ ფასი აქვს, ეს გუშინდელი დღითაც დადასტურდა. სწორედ მისი დახმარებით გაიხსნა თსუ-ს სიღნაღის ფილიალში თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ფრანკოფონიის სასწავლო კაბინეტი. გახსნას ედუარდ შევარდნაძეც ესწრებოდა.

მის ჩამოფრენას "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები უნივერსიტეტის შესასვლელში სულმოუთქმელად ელოდნენ. "საქართველო შევარდნაძის გარეშე", "კახეთი მეზვრიშვილის გარეშე" - ეწერა ტრანსპარანტებზე.

იქვე ტრიალებდნენ ვანო მერაბიშვილი და დავით ბერძენიშვილი, რომელმაც გვითხრა:

"ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" რეგიონულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, პრეზიდენტს დაანახოს, როგორია მისადმი ხალხის რეალური დამოკიდებულება, იმ სპექტაკლების საპასუხოდ, რომელსაც პრეზიდენტის სტუმრობისას დგამენ".

პრეზიდენტის ჩამოსვლამდე "ნაციონალებმა" ერთი პატარა მიტინგის ჩატარება მოასწრეს. მეტი არ დასცალდათ, ისინი ძალოვნებმა გაყარეს.

სიღნაღის შემდეგ, შევარდნაძემ ნეკრესის არქეოლოგიური გათხრები მოინახულა და წინანდლის შეხვედრაზე მივიდა, სადაც მოკლე სიტყვა წარმოთქვა:

"მინდა, შარშანდელი ნათქვამი გავიმეორო. ყველასთვის უდავოდ სასარგებლო იქნება, რომ წინანდლის შეხვედრები ტრადიციული გახდეს. დიდი მადლობა, ორი ყველანი დაგვეთანხმეთ. ეს ჩვენი პრობლემების უსწრაფესად გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

21-ე საუკუნის მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ სხვადასხვა ეროვნებისა და ფერის ადამიანები ურთიერთობების დამყარებას.

დღეს ვერტმფრენით მთელი კახეთი შემოვიარე. ყველა ფართობს შევავლე თვალი და 4-5 წლის წინანდელ მდგომარეობას შევადარე. მაშინ ისეთი უბედურება იყო, კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. დღეს ვაზი პატარძალივით არის მოვლილი.

მოვინახულე ნეკრესის გათხრები. იქ უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები გაკეთდა. ჯერ ბოლომდე დამტკიცებული არაა, მაგრამ ყველა არგუმენტი არსებობს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ საქართველოში დამწერლობა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე არსებობდა III–I საუკუნეებში. თქვენი დახმარების გარეშე, ჩვენ ამას ვერ მივაღწევდით. დიდი მადლობა ამისთვის.

მართალია, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და ტკივილი გვაქვს, მაგრამ ჩვენი საქმე სამართლიანია და ჩვენ გავიმარჯვებთ!"

"დემოკრატების" სახე ხაშურში

ბელა მახარაძე
ვერიკო თევზაძე

"გაერთიანებულმა დემოკრატებმა" გუშინ, ხაშურში, მაჟორიტარობის კანდიდატად ჯგუფ "სახეს" ყოფილი წევრი გოგა ხაჩიძე წარადგინეს. ვიდრე სურამში პირველადი ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართებოდა, თბილისიდან ჩასულ "დემოკრატებს" - ელენე თევდორაძესა და ედვარდ სურმანიძეს ხაჩიძემ ახლადგახსნილი "საზოგადოებრივი მისაღები" დაათვალიერებინა. ეს სამსახური "ცხელი ხაზის" პრინციპით იმუშავებს.

სურამის დამფუძნებელ ყრილობაზე "დემოკრატებს" ხალხით სავსე დარბაზი დახვდათ. გოგა ხაჩიძის გამოსვლას კი განსაკუთრებული ოვაციები მოჰყვა. მან ხაშურის მოსახლეობას ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გაუმხილა სურვილი მაჟორიტარად კენჭისყრის შესახებ. **"მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ მინდა რაიონის დეპუტატობა, ეს სურვილი გამიჩნდა იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც დღეს საქართველოშია. ჩემთვის პოპულარობა არ არის მთავარი, ეს ეტაპი უკვე გავლილი მაქვს. მინდა, რამე სასიკეთო გავაკეთო ჩემი ქვეყნისათვის,"** - აცხადებდა გოგა ხაჩიძე პოლიტიკოსისთვის შეუფერებელი გულწრფელობით.

მართალია, ხაჩიძეს რეკლამა არ სჭირდებოდა, მაგრამ თავიანთი სიმპათიები მის მიმართ ელენე თევდორაძემ და ედვარდ სურმანიძემაც გამოხატეს. **"ჩვენ გზა უნდა დავუთმოთ ისეთ ახალგაზრდებს, როგორიც გოგაა. მე მჯერა, ჩვენ გავიმარჯვებთ, მზად ვართ, ავიღოთ პასუხისმგებლობა ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად",** - თქვა სურმანიძემ. ელენე თევდორაძემ ხაშურელებს ყველანაირი დახმარება აღუთქვა ადამიანების უფლებების დაცვის სფეროში.

ხაშურელები "დემოკრატებს" იმედითა და კეთილგანწყობით უყურებდნენ, თუმცა დარბაზში მსხდომმა რამდენიმე მანდილოსანმა "24 საათთან" საუბრისას ზოგადი უკმაყოფილება მაინც გამოთქვა. მათი რეპლიკები ასეთი შინაარსის იყო: **"არჩევნების წინ ყველა სიყვარულს გვეფიცება, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ოთხი წლით გვემშვიდობებიან"; "გვერჩივნა იმაზე ელაპარაკათ, როდის მოგვცემენ ხუთი თვის გაყინულ პენსიას"; "კარგად ილაპარაკეს. თუ მართლა ასე იქნება, ხომ კარგი, თუ არადა, ვინ მოგვატყუებს, რა მნიშვნელობა აქვს"...**

თავად "დემოკრატები" შეხვედრით კმაყოფილნი დარჩნენ. ისინი ფიქრობენ, რომ ხალხისთვის მისაღები და საყვარელი მომღერალი პოლიტიკაშიც წარმატებას მიაღწევს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შთირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ტრაგედია ზაჰესის დასახლებაში

თამარ კასპიტაძე

რეგიონის ხელმძღვანელობას ახალი თავსატეხი გაუჩნდა

მცხეთის შს სამმართველოს ზაჰესის განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი, პეტრე რუხაძე ორი კოლეგის - ზაჰესის პოლიციის განყოფილების რიგითის, ავთანდილ ლაშაურის, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლის ირაკლი გაბაძის და ახალციხის რაიონის მკვიდრის, 1973 წელს დაბადებულ მანუჩარ მაჩაიძის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

ტრაგედია გუშინ ღამის ორ საათზე ზაჰესის დასახლებაში მშვიდობის ქუჩაზე დატრიალდა. ჩვენი ინფორმაციით, ისანი-სამგორის პოლიციის თანამშრომელი გაბაძე მეგობრის მანქანით, ღამით, ზაჰესში ოჯახის სანახავად წავიდა და მაშინვე უკან, სამსახურში დაბრუნებას აპირებდა. სწორედ ამ დროს, იქაური პოლიციის თანამშრომლები – ზაჰესის კრიმინალური პოლიციის უფროსი პეტრე რუხაძე, უბნის ინსპექტორები აკაკი ლიპარტელიანი, გია კოლოტაური და სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი ავთანდილ ლაშაური დასახლებაში ღამის შემოვლაზე იყვნენ გასულები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენარალური ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავას თქმით, ზაჰესელმა პოლიციელებმა უცხონომრიანი მანქანის მძღოლს და მის მგზავრს, რომლებიც რატომღაც საეჭვოდ მოეჩვენათ, პირადობის მოწმობა მოსთხოვეს, რის შემდეგაც რუხაძემ სამჯერ ისროლა. ერთი ტყვიით, თავის არეში დაიჭრა და ადგილზევე გარდაიცვალა რუხაძის თანამშრომელი ლაშაური. მანქანაშივე მოკვდა მძღოლი მაჩაიძე, ხოლო თავის არეში დაჭრილი გაბაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ რამდენიმე საათში ისიც გარდაიცვალა.

"სამი გასროლის ხმა გავიგეთ. ფანჯრიდან რომ გამოვიხედე დავინახე, რომ ერთი კაცი მანქანის მოშორებით დავარდა, ორს კი მანქანაშივე ესროლეს. პოლიციამ თავისი თანამშრომელი მანქანაში ჩასვა და გაიქცნენ," – ჰყვებიან გუშინდელი ტრაგედიის თვითმხილველნი და სამართალდამცველებისგან, მომხდართან დაკავშირებით, პასუხს ითხოვენ.

პოლიცია კი, ჯერჯერობით, არც ისე სიტყვაუხვია. **"რუხაძემ სამივე გასროლა გლუვლულიანი თოფით მოახდინა, არადა მას თან ჰქონდა სამსახურებრივი, "მაკაროვის" სისტემის იარაღი. ეს თოფი კი კანონით თან არ უნდა ჰქონოდა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბარში დავით ჯინჯოლავამ, რომელიც მკვლელობის დეტალების დასახელებისგან თავს იკავებს. მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არც რეგიონის პოლიციელები საუბრობენ. თუმცა, შს სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსი გვპირდება, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერს გაგვიმხელს.

სამი დღის შემდეგ მკვლელობის მოტივის დასახელებას გვპირდება მცხეთის რაიონის პროკურორი გია ფანჩულიძეც. პროკურორის თქმით, გამოძიებას უკვე გააჩნია მკვლელობასთან დაკავშირებული მყარი ვერსია, მაგრამ მისი დასახელებისაგან თავს იკავებს. **"რამდენიმე დღე ვერაფერს ვიტყვით, თუ გვინდა, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდეს,"** – გვითხრა ფანჩულიძემ.

საქმეს კი საშიროება, როგორც ჩანს უკვე დაემუქრა. **"მიუხედავად იმისა, რომ საქმე აშკარად ძალიან მძიმეა, რუხაძეს უკვე გამოუჩნდნენ დამცველები. მინდა მოვუწოდო ამ ხალხს, ნუ ჩაერევიან გამოძიებაში და ხელს ნუ შეუშლიან ობიექტურობის დადგენას,"** – გვითხრა შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა. კონკრეტულად, ვინ უშლის ხელს გამოძიებას, ამას ჯინჯოლავა არ ასახელებს.

თუმცა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი რუხაძე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის მოადგილის, დალი იმნაიშვილის სიძეა. სავარაუდოდ, ზენოლაც სწორედ აქედან უნდა მოდიოდეს.

სხვათა შორის, როგორც სარწმუნო წყაროსგან შევიტყვეთ, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე დანაშაულის მოხდენისთანავე იყო ცნობილი, პროკურატურა მისი დაკავებისგან თავს იკავებდა.

"შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხდარი ფაქტი მაშინვე კონტროლზე აიყვანა. ნარჩემაშვილმა განკარგულება გასცა: თუ პროკურატურა ვერ მოახერხებდა რუხაძის დაპატიმრებას, იგი ჩვენ, პოლიციას დისციპლინური წესით უნდა დაგვეპატიმრებინა," –მინიშნებას აკეთებს გენერალური ინსპექციის უფროსი.

რუხაძე ამჟამად უკვე დაპატიმრებულია და მას ხვალ, ალბათ, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისთვის წარუდგენენ ბრალს.

თუმცა, რუხაძის დაცვა შემამსუბუქებელ ვერსიაზე უკვე მუშაობს. "რუხაძეს ჩვენება ჯერ არ მიუცია. რეალურად, რა მოხდა, არ ვიცით. თუმცა, როგორც გავიგეთ, ჯერ მანქანიდან ისროლეს და რუხაძემ საპასუხოდ გაისროლა," – გვითხრა ადვოკატმა ეკა ბესელიამ, თუმცა, დღის ბოლოს, ბესელიამ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციელის დაცვაზე უარი განაცხადა.

ჩხაიძე საკუთარ მტერს ქვეყნის გარეთ ეძებს

თამარ კასპიტაძე

გუშინ რკინიგზელთა სახლში პომპეზურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიას უფრო ჰგავდა, აკაკი ჩხაიძემ სიამაყით გაიმეორა წინა დღეს გენერალური პროკურატურის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება – გადაცემა "60 წუთში" დასახელებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება და ცილისწამებაა. თუმცა, გუშინდელი შეხვედრის მთავარი მიზანი, ჩხეიძისთვის ახალი "სკანდალისაგან გასუფთავება" იყო. წინა დღეს, რკინიგზის შეფი მასმედიამ ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ამხილა. მოქალაქე ნათელა ჩხიკვაძე, რომლის მტკიცებითაც ჩხაიძეს მისი ვალი აქვს, რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის კაბინეტში ოთხი საათის განმავლობაში ჰყავდათ "დაპატიმრებული". ჩხიკვაძე "ტყვეობიდან" მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. რკინიგზის შეფის და მის მომხრეთა რისხვის მთავარი ობიექტებიც, სწორედ, იმ ღამეს დეპარტამენტთან მისული "60 წუთი" და არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი გახდა". "ეს ქალი "60 წუთმა" ჩემს დასაშანტაჟებლად შემოგზავნა. ფარული კამერა, რომელიც ჩხიკვაძეს ჩანთაში აღმოვუჩინეთ, "60 წუთის" არის. ამ ხალხს უნდა, ჩირქი მომცხოს, ჩემი სახით კი - სახელისუფლებო პარტიას და პრეზიდენტს," – ამბობდა ჩხაიძე, რომელმაც კვლავ პროკურატურას მიმართა. "ფირი და სხვა მასალები, რომელიც ჩხიკვაძის ჩანთაში აღმოვაჩინეთ, პროკურატურას გადავეცი. დაე, მან დაადგინოს სიმართლე," – ასეთია ჩხაიძის ნება. თუმცა, პარლამენტარობის მსურველი თავის, პარტიის და პრეზიდენტის მტრებს "60 წუთში" და "თავისუფლების ინსტიტუტში" კი არა, მათ ზურგს უკან ეძებს. "ამათ უკან არის ძალა, ვისაც არ უნდა საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ნატო-ში გაწევრიანება. ეს გეგმა, დიდი ხანია, არსებობს და ახლა წინასაარჩევნოდ ამოქმედდა," – ამბობდნენ პრესკონფერენციაზე ჩხაიძის დასაცავად გამოსული პოლიტიკოსები თუ ზოგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მართალია, თავად ჩხაიძე კონკრეტულად არ ასახელებს მოწინააღმდეგე ძალას, მაგრამ მინიშნებას აკეთებს. "ჩხიკვაძეს ჩანთაში რუსული წარმოების აპარატურა ედო. საიდან აქვს იგი "60 წუთს"? – მრავალმნიშვნელოვნად დასვა კითხვა ჩხაიძემ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრობლემები კვლავ მოსაგვარებელია

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში პრობლემებს ვერ აუდიან. ჯერ იყო და, ოფთალმოლოგიური კლინიკიდან პატიმრის გაქცევის გამო, ბადრაგის წევრთა დაპატიმრებამ საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა უკმაყოფილება გამოიწვია, ახლა კი, ანუ გუშინ დილიდან, თბილისის მეხუთე საპყრობილის თანამშრომლების მიერ გაფიცვის გამოცხადებაც პატიმართა გაქცევის ფაქტს უკავშირდება. როგორც ცნობილია, პარასკევს მეხუთე საპყრობილიდან სამი, განსაკუთრებით საშიში დამნაშავე გაიქცა. მართალია, ერთი – გოჩა ჭელიძე საპყრობილის თანამშრომლებმა კარებთან დააკავეს, სამაგიეროდ, ორმა პატიმარმა – არაერთი ყაჩაღობისა და მკვლელობისთვის დაპატიმრებულებმა პაატა დოლაბერიძემ და ზაქარია უტიაშვილმა გაქცევა მოახერხეს. მათი ადგილსამყოფელი გუშინ საღამოსთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. ჩვენი ინფორმაციით, ამ ინციდენტის შემდეგ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ საპყრობილეში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და რეჟიმი გაამკაცრა. სავარაუდოდ, დღის წესრიგში დადგება იმ თანამშრომელთა დასჯის საკითხიც, რომელთაც გაქცევის თავიდან აცილება ევალებოდათ. თუმცა, მანამდე მეხუთე საპყრობილის თანამშრომლები საპყრობილესთან შეიკრიბნენ და გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის მიზეზად ისინი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ აქვთ დაბალი ანაზღაურება, დიდი პასუხისმგებლობა და მათ ყურადღებას არავინ აქცევს. გაფიცულებთან შეხვედრაზე სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი მივიდა.

როგორც გიგლა აგულაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა: **"ეს არ იყო გაფიცვა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საპყრობილის თანამშრომლები შეიკრიბნენ და თავიანთ პრობლემებზე ხმამაღლა საუბრობდნენ. მეც მივედი და ამ პრობლემებზე ერთად ვილაპარაკეთ. პრობლემები კი მართლაც უამრავია, რომლებსაც ერთი-ორი თანამშრომლის დასჯით ნამდვილად არ მოევლება. აქ კომპლექსური ღონისძიებებია გასატარებელი და ეს ჩემი განცხადება არ მინდა მიიღონ, როგორც ფულზე წუწუნი. წარმოიდგინეთ, რომ გუშინწინდელი გაქცევისას პატიმრებმა ერთი კარი, ყოველგვარი ტექნიკური საშუალებების გარეშე, ხელით გააღეს. წარმოიდგინეთ, მიაწვნენ კარს და გაიღო. ამით იმის თქმა მინდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უსაფრთხოების სისტემები მთლიანად მოშლილია. მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, ამ თვალსაზრისით რამდენიმე პროექტი მოვამზადეთ, თუმცა, მათი განხორციელება ვერ ხერხდება – ბიუჯეტი კაპიკს ვერ იმეტებს. მე კი, მართალი გითხრათ, ვერ ვიმუშავებ ისეთ პირობებში, როცა ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებული ვარ დაბალი ხელფასის მქონე ადამიანებზე, რომლებსაც, იმისათვის, რომ სახლში პური მიიტანონ, ერთ ლარად საქმის ღალატი შეუძლიათ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბოლომდე არ ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ყველაფერი მოვაგვარო. ოღონდ, მხარდაჭერის გარეშე, ცხადია, გამიჭირდება".**

ამჯერად გიგლა აგულაშვილი მიიჩნევს, რომ უფრო მნიშვნელოვანია იმ თანამშრომლების წახალისება, რომლებმაც სამი გაქცეულიდან ერთი დაიჭირეს, ვიდრე იმ ხალხის დასჯა, რომლებსაც გაქცევის თავიდან აცილება ევალებოდათ. **"თუმცა, დასჯის საკითხს პროკურატურა წყვეტს და არა მე"**, - ამბობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.

ყაჩაღები დაზარალებულების უბნელები აღმოჩნდნენ

ქუთაისში, სულხან-საბა ორბელიანის გამზირზე ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრები ბურჯანაძეების ოჯახზე თავდასხმა მოხდა. პოლიციამ დანაშაული ოპერატიულად გახსნა და დამნაშავეები იმავე კორპუსის, მეოთხე სადარბაზოში დააპატიმრა.

თავდასხმის დროს დუშიკო ბურჯანაძე სახლში მარტო იყო. მისი მეუღლე ღამე იმავე სადარბაზოში, მეოთხე სართულზე, შვილიშვილებთან დარჩენილა. როგორც გაირკვა, თავდამსხმელები, რომლებიც ბურჯანაძეების უბნელები არიან, მსხვერპლს დიდხანს უთვალთვალებდნენ და შესაფერისი დროც შეარჩიეს. ირაკლი ჩარქსელიანმა და თემურ გორშვანმა ისიც იცოდნენ, რომ ბურჯანაძეების შვილები საბერძნეთში ცხოვრობენ და მოხუც მშობლებს იქიდან ეხმარებიან. სწორედ ამიტომაც გახდა ბურჯანაძეების ოჯახი თავდასხმის ობიექტი.

როგორც საავადმყოფოში გადაყვანილი, ოჯახის უფროსი იხსენებს, ნიღბიანი თავდამსხმელები ცეცხლსასროლი იარაღებით იყვნენ შეიარაღებულნი. სახლში შესვლისთანავე ჩარქსელიანს და გორშვანს დუშიკა ბურჯანაძისთვის ფული მოუთხოვიათ. "ფული არ მქონდა და ვერ მივეცი, ისინი კი თავში იარაღს მირტყამდნენ და მაიძულებდნენ, თანხა მიმეცა," – იხსენებს თავში დაჭრილი ბურჯანაძე.

ვიდრე ყაჩაღები ბურჯანაძეების ოჯახში სასურველ ნივთებს აგროვებდნენ, ამ დროს ქუთაისის პოლიციის უფროსს, თემურ ნოზაძეს ტელეფონით უცნობი პიროვნება დაუკავშირდა და ბურჯანაძეებზე თავდასხმა შეატყობინა. პოლიციის უფროსის თქმით, სამართალდამცველები მაშინვე გასულან შემთხვევის ადგილზე, მაგრამ ყაჩაღებმა გაქცევა მოასწრეს.

როგორც თემურ ნოზაძემ გვითხრა, სხვენში ასულ ყაჩაღებს პოლიცია კვალდაკვალ მიჰყვა. მეოთხე სადარბაზოში ჩასულმა ჩარქსელიანმა და გორშვანმა ერთ-ერთი ოჯახის კარებთან ყვირილი დაიწყეს – მოსაკლავად მოგვდევენ და კარები გაგვიღეთო. სახლის დიასახლისმა კვაჭანტირაძემ ისინი სახლში შეუშვა და კარები ჩაკეტა.

ყაჩაღების საძებნელად მისულ პოლიციას მოხუცმა ქალბატონმა კარები აღარ გაუღო, რის გამოც სამართალდამცველები იძულებულნი გახდნენ, კარები ძალით შეემტვრიათ.

შემთხვევიდან ნახევარ საათში ქუთაისის პოლიციამ დანაშაული გახსნილად გამოაცხადა. თავდამსხმელები დააპატიმრეს და ქუთაისის საპყრობილეში მოათავსეს. ჩარქსელიანს და გორშვანს, რომლებიც აქამდე ნასამართლევები არ ყოფილან, სავარაუდოდ, ყაჩაღობის და სხეულის განზრახ დაზიანების მუხლებით წაუყენებენ ბრალს.

საზოგადოება

ლაო ძი და "პენტიუმ ოთხი" საკრებულოსთან ერთად

ნინო ელისაშვილი

მოსწავლეებიც, მასწავლებლებიც და საზოგადოებაც კმაყოფილები დარჩნენ თბილისის საკრებულოს ინიციატივით - მოეწყოს თავისუფალი აზრის ზეიმი.

55-ე სკოლაში თბილისის საკრებულოს ინიციატივით და ორგანიზატორობით, თბილისის სკოლების 178 მოსწავლე ოთხი საათის განმავლობაში თავისუფალ თემას წერდა. "რას ცვლის და რას არ ცვლის დრო", "რატომ უყვართ ზღაპრები დიდებს", "ქართული ხასიათი", "რა ასწავლა და რა არ ასწავლა ისტორიამ ქართველებს" და კიდევ სხვა (სულ თორმეტი სათაური იყო) თავისუფალი თემებიდან ამოარჩიეს მოსწავლეებმა მათთვის სასურველი.

ბლიცკონკურსის, "მე ვწერ თავისუფალ თემას", მთავარი მიზანი იყო, წაეხალისებინა მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნება. ნამუშევრების შემოწმების უმთავრესი პარამეტრი სწორედ ორიგინალური აზროვნება გახლდათ, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო აზრის ლოგიკური სვლა, თემის მხატვრული გადაწყვეტა და "ნაკითხობის" ხარისხი.

ჟიურის, რომელსაც საკრებულოს განათლების ქვეკომისიის თავმჯდომარე გია მურღულია თავკაცობდა, გაუჭირდა 12 გამარჯვებულის გამოვლენა და მათ შორის, საპრიზო ადგილების განაწილებაც: რთული აღმოჩნდა მეთორმეტე ადგილის გამიჯვნა მეთერთმეტისგან, მეთერთმეტესი მეათისგან და, განსაკუთრებით, საპრიზო პირველის გამოკვეთა დანარჩენი თერთმეტისგან.

"სასირცხვილო არ არის, როცა იცი, რომ საუკეთესოებს შორის ხარ და თქვენც უნდა იცოდეთ, რომ საუკეთესოები ხართ", - მიმართა დაჯილდოების ცერემონიალზე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ახალგაზრდობის სასახლეში შეკრებილ მოსწავლეებს. საკრებულომ საჩუქრებიც საუკეთესო გადასცა გამარჯვებულებს. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული იყო სპეციალური პრიზებიც. ას-ასი ლარით დაჯილდოვდნენ პრიზიორების ქართული ენის მასწავლებლებიც.

პირველი პრიზით და ნომინაციაში ყველაზე ორიგინალური ნაწერისათვის დაწესებული პრიზით (ილიასა და აკაკის ბიუსტებით) მარიამ ლაშხია დაჯილდოვდა. პირველი პრიზი კომპიუტერი პენტიუმ ოთხი იყო. მეორე და მესამე პრიზებით - ტელევიზორებით, დააჯილდოეს გიორგი აბრამიშვილი (თემა "ქართული ხასიათი") და ირაკლი გაბრუაშვილი (თემა "თავისუფლება - ბედნიერება თუ სასჯელი").

მარიამ ლაშხია თბილისის 51-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. ის აფხაზეთიდან ლტოლვილია და მიუხედავად იმისა, რომ ამ შინაარსის კონკურსში სხვა დროსაც მიუღია ჯილდო, არასდროს არ დაუწერია აფხაზეთზე. მარიამი უკვე ხუთი წელია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ჟურნალისტიკის ცენტრში ცისანა ხაზარაძის ჯგუფში მეცადინეობს. ის კარგად ხატავს და მხოლოდ მასზე რომ იყოს დამოკიდებული, სამხატვრო აკადემიაში ან თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარებდა. მაგრამ, ალბათ, მშობლების რჩევას გაითვალისწინებს და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე ჩააბარებს.

მარიამის თემის სათაური ლაო ძის გამონათქვამი იყო: "ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ, მაგრამ ჭურჭლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის." უნდა აღინიშნოს, რომ "ქართულ ხასიათთან" ერთად ეს სათაური კონკურსანტებში ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა, მათ შორის, მართლაც გაჭირდა საუკეთესოს ამორჩევა. "24 საათმა" მარიამის საპრიზო ადგილი საკუთარ გამარჯვებადაც ჩათვალა - თემა პირველმა ჩვენმა ჟურნალისტმა, ჟიურის წევრმა "აღმოაჩინა".

მარიამ ლაშხია თიხის ჭურჭელს ადამიანთან აიგივებს და თავად პასუხობს მისსავე დასმულ კითხვას: "ადამიანის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის"? დიდი ფილოსოფოსებისგან განსხვავებით, პასუხს არ უფრთხის და წერს, რომ "...საქმე გვაქვს თიხის ადამიანისებრ ჭურჭელთან, რომელშიც სიცარიელე სუფევს, კითხვა ასვენია და მთელ არსსაც ეგ წარმოადგენს... ადამიანი იბადება, მას არსი არ გააჩნია. უფრო სწორედ, მას გააჩნია არსი, რისთვისაც ის გაჩნდა ამ ქვეყანაზე, მაგრამ თვითონ ამის შესახებ არაფერი იცის. შემდეგ იგებს, რომ არსი აქვს, მაგრამ ვერ ხვდება მისი არსი რა არის. საერთოდ, ადამიანებს, ჩემი აზრით, არ აქვთ გათვიცნობიერებული, თუ რა არის მათი არსი. აი, ასე დადიან წუთისოფლის შარაგზებზე და "გაგებაში არ არიან", რა უნდათ, რისთვის მოვიდნენ და, საკმაოდ ხშირად, "რა დაეშავეს".

მალე თხზულებას ჟურნალი "არილი" დაბეჭდავს და მარიამს მკითხველიც ან დაეთანხმება, ან არა, რომ "ადამიანი ზარდახშაა, რომელშიც კითხვა ასვენია".

სუფთა ფურცელი თავისუფალ აზრისთვის

ინფორმაცია

ჩეჩნები ცხოვრების ადამიანურ პირობებს ითხოვენ

საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა კომიტეტის ხელმძღვანელმა, გროზნოდან ლტოლვილმა 45 წლის ბაუდი ითაევმა და მისმა მოადგილემ, ასევე გროზნოელმა 46 წლის იბრაგიმ სარდალოვმა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, შიმშილობა დაიწყეს. ბაუდი ითაევის განცხადებით, მისი პროტესტი უშუალოდ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია 4 ათასამდე ჩეჩენ ლტოლვილს ყოველ ორ თვეში აძლევს 27 კილოგრამ ფქვილს, 3 კილოგრამ ლობიოს, 1 კილოზე მეტ შაქარს და ამდენივე ზეთს. "როგორ შეიძლება ამით ნორმალური ცხოვრება და ბავშვების გამოკვება," - კითხულობს ითაევი. პროფესიონალი მშენებელი, ცოლთან ერთად ჩეჩნეთიდან 1999 წელს, მეორე სამხედრო კამპანიის დაწყების დროს გამოიქცა. პანკისში მას ბავშვი შეეძინა, რის შემდეგაც, სამედიცინო დახმარების საჭიროების გამო, ითაევების ოჯახი საცხოვრებლად თბილისში ნაქირავებ ბინაში გადავიდა. იბრაგიმ სარდალოვს, რომელიც ასევე მშენებელია, ხუთი შვილი ჰყავს, მათგან ერთი საქართველოში შეეძინა. იგი ჩეჩნეთიდან ასევე 1999 წელს გამოიქცა. იბრაგიმ სარდალოვი სოფელ დუისში შიმშილობს და ამბობს, რომ გაეროსაგან პასუხს ითხოვს კითხვაზე - უნდა ცხოვრობდნენ თუ არა ჩეჩენი ლტოლვილები ნორმალური ადამიანებივით? მისი თქმით, 26 მაისიდან პანკისში კიდევ ექვსი ჩეჩენი ლტოლვილი დაიწყებს შიმშილობას. **პრაიმ-ნიუსი**

გაიცანით - კავკასიის წარმომადგენელი

სომხეთის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 21 წლის სტუდენტი არმინე არუთუნიანი გახდა გამარჯვებული სილამაზის პირველი რეგიონული კონკურსისა "კავკასიის ლამაზმანი", რომელიც პარასკევს საღამოს ნალჩიკში დასრულდა. მანამდე არმინე არუთუნიანი "სომხეთის ტოპ-მოდელი - 2002" ტიტულის მფლობელი იყო. არმინე არუთუნიანი სამოდელო ბიზნესში უკვე რამდენიმე წელია მოღვაწეობს. მისი სიმაღლეა 177 სანტიმეტრი, ხოლო პარამეტრები 84-56-89. იგი კავკასიას წარმოადგენს მოსკოვის კონკურსზე "რუსეთის ლამაზმანი - 2003". **პრაიმ-ნიუსი**

"ისი პარის" საერთაშორისო აღიარება

ირინე სანებლიძე

ოცდახუთ წელზე მეტია, რაც საერთაშორისო ორგანიზაცია BID (Business Initiative Directions) სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ კომპანიებს წარმატებული საქმიანობისთვის ყოველწლიურად აჯილდოებს. რამდენიმე წლის წინ BID-ის ჯილდო შამპანური ღვინოების მწარმოებელმა კომპანიამ "ბაგრატიონი 1882"-მა დაიმსახურა. წელს კი, ოქროს პრიზი პარფიუმერიის მაღაზიათა ქსელმა "ისი პარიმ" მოიპოვა.

საქმიანი წრეებისთვის კარგად ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია BID-ი ამა თუ იმ კომპანიებს მთელ მსოფლიოში ეძებს და შემდეგ, ჟენევაში, გამარჯვებულს ფარულად შეარჩევს. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნების კომპანიებისთვის, ყველაფერი მაშინ ხდება ცნობილი, როცა უკვე გამარჯვებულთა დაჯილდოების თარიღია დანიშნული.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალამდე ერთწლიანი შესარჩევი პერიოდია. საკონკურსო კომიტეტი ყურადღებით სწავლობს და აზუსტებს ინფორმაციას BID-ის პრიზის კანდიდატი თითოეული კომპანიის შესახებ. ამ ინფორმაციას ის სხვადასხვა გზებით მოიპოვებს: საერთაშორისო საგამოფენო დარბაზები, ბიზნეს-წრეები, მსოფლიოს მასმედია, კომერციული პალატები, საელჩოები, უშუალოდ მომხმარებელი და კლიენტი - აი, ის ძირითადი წყარო, რომლის მიხედვითაც გამარჯვებულს გამოავლენენ.

ნომინანტები სერიოზულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ: ხარისხი, სიახლეების დანერგვა, საინტერესო გამომგონებლობა, დახვეწილი მართვა, წარმატებული მარკეტინგი, კადრების კვალიფიკაციის დონის მუდმივი ამაღლება, კომპანიის ზრდის სწრაფი ტემპები, ლიდერობისკენ სწრაფვა, რენტაბელურობა.

BID-ის ოქროს პრიზი ლევან მარგველაშვილს - წარმატებული საქმიანობისათვის

როგორც ჩანს, BID-ის კომიტეტის ამ კრიტერიუმებს საქართველოს პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელმა "ისი პარიმ" უპასუხა და ამ თვის დასაწყისში, ჟენევაში, პარფიუმერულ დარგში 2003 წლის INTERNATIONAL QUALITY ERA – ს ოქროს პრიზიც მიიღო.

წელს BID-მა 170 ქვეყანა შეარჩია, საიდანაც სხვადასხვა სფეროში ნომინირებული მხოლოდ 60 ქვეყანა იყო, პარფიუმერული კუთხით მხოლოდ საქართველო იყო წარმოდგენილი და გამარჯვებული; ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში BID-მა პარფიუმერიის დარგში მომსახურების ხარისხის დონე "აღმოაჩინა". შვეიცარიაში მიპატიჟება "ისი პარის" ცენტრალურმა ოფისმა აპრილის დასაწყისში მიიღო, ანუ მაშინ,როცა უკვე გამარჯვებულად დაასახელეს. საზეიმო ღონისძიებაზე "ისი პარის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან მარგველაშვილი გაემგზავრა.

მისი თქმით, ამ რანგის საერთაშორისო აღიარება "ისი პარისთვის" ბევრს ნიშნავს. BID-ის პრეზიდენტსა და გენერალურ დირექტორს ხოსე ე. პრიეტოს ჟენევაში უთქვამს, რომ დაჯილდოებული კომპანიები მისაბაძნი უნდა იყვნენ იმავე დარგში დასაქმებული სხვა კომპანიებისთვის.

მოკლედ

თბილისი. ეკონომიკის ექსპერტის, ლადო პაპავას მოსაზრებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულება, ფონდის მისიის ვიზიტამდე, ანუ 20 ივნისამდე შესაძლებელია, თუმცა ერთ-ერთი რეკომენდაციის, კონკრეტულად კი, საბიუჯეტო პარამეტრების შესრულების შესაძლებლობა ექსპერტს ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია. მიუხედავად ამისა, პაპავას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ფონდის დანარჩენ ორ ძირითად რეკომენდაციას - ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას და ფულის გათეთრების აღკვეთისკენ მიმართული კანონის მიღებას - შეასრულებს, შესაძლოა, სავალუტო ფონდმა საბიუჯეტო პარამეტრებს გადახედოს და მაჩვენებელი შეამციროს. პაპავა ძნელადშესასრულებელს უწოდებს ელექტროენერგიის ტარიფთან მიმართებაში არსებულ რეკომენდაციასაც, სადაც მისი თქმით, იურიდიული სირთულეები არსებობს. სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ჯეროენ კრემერსის განცხადებით, თუ ქვეყანა დარჩენილ ერთ თვეში ფონდის რეკომენდაციებს არ შეასრულებს, მისი საერთაშორისო და საშინაო ეკონომიკური მდგომარეობა სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგება. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

თბილისი. ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ლინ პასკომ დღეს, პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს ამერიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი უწოდა და მილსადენის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ამ პროექტის განხორციელება ნათელი მაგალითია იმისა, რომ რაც მნიშვნელოვანია ამერიკისთვის, მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც," - აღნიშნა ლინ პასკომ. მისი განცხადებით, "საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკა ძალიან გამჭვირვალეა" და ამერიკის მხარდაჭერა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას ემსახურება. **ინტერ-პრესი**

"ეი-ი-ესისა" და "ენრონის" საეჭვო გარიგება

ადამ მჭედლიძე

გაზეთმა "ფაინენშალ ტაიმსმა" საქართველოში კარგად ცნობილი ამერიკული კომპანია "ეი-ი-ესი" და მთელ მსოფლიოში ცნობილი "ენრონი" უპატიოსნო გარიგებაში დაადანაშაულა. საქმე ეხება, 1998 წელს ბრაზილიაში, ლათინური ამერიკის უმსხვილეს ელექტროგამანაწილებელ კომპანიაზე გამოცხადებულ ტენდერს, რომელშიც მონაწილეობას "ეი-ი-ესი" და "ენრონიც" იღებდნენ. უფრო სწორად, მონაწილეობდა "ლაით კონსორციუმი," რომლის ერთი მეწილე "ეი-ი-ესი" გახლდათ. სულ ბრაზილიურ ელექტროგამანაწილებელ გიგანტ "ელეტროპაულო მეტროპოლიტანაზე" პრეტენზიას სამი კომპანია აცხადებდა.

აუქციონამდე რამდენიმე საათით ადრე – ამტკიცებს "ფაინენშალ ტაიმსი" – "ეი-ი-ესი" და "ენრონი" ერთმანეთს გაურიგდნენ. შეთანხმების მიხედვით, "ენრონი" აუქციონზე "ეი-ი-ესს" მეტოქეობას არ გაუწევდა, რის სანაცვლოდაც იგი მიიღებდა ერთობ სარფიან კონტრაქტებს – გაზით მოამარაგებდა ელექტროსადგურს, რომელსაც "ეი-ი-ესი" "ელეტროპაულოსათვის" ააგებდა.

კონკურენციის შესუსტების შედეგად, "ელეტროპაულოს" მაშინდელმა მეპატრონემ, სან პაულოს მთავრობამ, კომპანიის სანაცვლოდ 1,78 მილიარდი დოლარი მიიღო, მაშინ, როცა იგი გაცილებით მეტს ელოდა.

"ეი-ი-ესმა" ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე წამოიწყო შინაგანი გამოძიება. კომპანიის მთავარი აღმასრულებლის, პოლ ჰანრაჰანის განცხადებით, "ეი-ი-ესისთვის" ამგვარი პრაქტიკა სრულიად მიუღებელია და თუკი ბრალდება დადასტურდა, დამნაშავე სათანადოდ დაისჯება.

შარშან თაღლითობაში მხილებული, აწ გაკოტრებული "ენრონი" კი რაიმე გარიგების არსებობას კატეგორიულად უარყოფს. კომპანიის წარმომადგენელი ირწმუნება, რომ ტენდერში მონაწილეობის არმიღება წმინდა კომერციული მოსაზრებით იყო გამოწვეული – აუქციონამდე რამდენიმე საათით ადრე "ენრონს" მისმა მრჩევლებმა აცნობეს, რომ მათი აზრით, ბრაზილიური კომპანიის შესყიდვა მომგებიანი არ იქნებოდა.

"ეი-ი-ესთან" ერთად "ლაითის'" მეწილეები "ჰიუსტონ ინდასტრიზ," "ელექტრისიტე დე ფრანს" და ბრაზილიური მეტალურგიული ფირმა "სიესენი" არიან. ისინი გარიგებასთან ყველანაირ კავშირს უარყოფენ.

უცხოეთი

ვის ეკუთვნის 500 მილიონი აშშ დოლარის ოქრო?

აშშ-ს სამხედრო ძალებმა ერაყში ორი ათასი ცალი, 18-კილოგრამიანი ოქროს ზოდი აღმოაჩინეს. ამერიკელი სამხედროების ცნობით, ტვირთის ღირებულება, შესაძლოა, 500 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატებოდეს. აშშ-ს ცენტრალური სარდლობის ცნობით, ძვირფასი ტვირთი, სირიის საზღვართან ქალაქ კაიმში მე-3 ქვეითი დივიზიის ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს, როდესაც ერთ-ერთი სატვირთო ავტომანქანის შემოწმება გადაწყვიტეს. ოქროს ღირებულება მას შემდეგ დაზუსტდება, როდესაც ექსპერტები ამ ძვირფასი ლითონის სინჯს განსაზღვრავენ. ამ ფაქტზე ამერიკელებმა სატვირთო ავტომანქანაში მსხდომი ორი ერაყელი დააკავეს. დაკავებულთა განცხადებით, მათ ბაღდადიდან კაიმში სატვირთო მანქანის გადაყვანისათვის 350 დოლარი გადაუხადეს. ტვირთის გამცილებლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ ბრინჯაო გადაჰქონდათ.

რაც შეეხება ტვირთის წარმოშობას, ჯერჯერობით გაურკვეველია. ამ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. არ არის გამორიცხული, რომ ოქრო ჰუსეინის ოჯახის რომელიმე წევრისათვის ყოფილიყო განკუთვნილი.

მაისის დასაწყისში, აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მათმა წარმომადგენლებმა შეძლეს იმ ფულის დიდი ნაწილის ამოღება და დაბრუნება, რომელიც სადამ ჰუსეინის ოჯახმა ერაყის ცენტრალური ბანკიდან ომის დაწყების წინ გაიტანა.

ბაღდადის აღების შემდეგ, ამერიკელმა ჯარისკაცებმა სადამის ერთ-ერთი სასახლის სიახლოვეს პატრულირების დროს ერთ-ერთ დაცარიელებულ სახლში 600 მილიონი ამერიკული დოლარი აღმოაჩინეს. ბოლო ხანებში ცნობილი გახდა, რომ ბაღდადზე საჰაერო იერიშების დაწყების წინ, სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი შვილი ცენტრალურ ბანკში მივიდა და თან მამის წერილიც მიიტანა. ცოტა ხნის შემდეგ მან ბანკის შენობა დატოვა და თან ერთი მილიარდი ამერიკული დოლარიც წაიღო. აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, ამერიკელმა ჯარისკაცებმა დაცარიელებულ სახლში სწორედ ამ თანხის ნახევარზე მეტი აღოაჩინეს. ბანკის მოსამსახურეებმა ზუსტად აღწერეს, თუ როგორ იყო ეს ფული შეფუთული. მონაცემები და აღწერილობა ერთმანეთს დაემთხვა.

კანადაში ატიპური პნევმონიის მეორე ტალღა დაიწყო

პარასკევს, ტორონტოში, ერთთვიანი შესვენების შემდეგ, სარსით ინფიცირებული კიდევ ოთხი ადამიანი გამოავლინეს. არსებობს ინფორმაცია მეხუთე დაავადებულის შესახებაც, თუმცა ეს ცნობა ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ათი დღის წინ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კანადის უდიდესი ქალაქი ტორონტო ატიპური პნევმონიის გავრცელების ზონიდან ამოიღო.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრმა კვლავ გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება ტორონტოში წამსვლელთა საყურადღებოდ, მაგრამ მიმართვაში არანაირი რეკომენდაცია არ ყოფილა შეტანილი. აღსანიშნავია, რომ ტორონტოში ტურიზმის ბიზნესმა სარსის ეპიდემიის გამო მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკაზეც საგრძნობ გავლენას მოახდენს.

პარასკევს გამოვლენილი ოთხი ინფიცირებულიდან, ორი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. **"ინფექციის წყარო, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის,"** - განაცხადა ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენელმა.

ამ დროისათვის კანადის ხელისუფლება ცდილობს, იმ ხალხის იზოლირება მოახდინოს, ვინც ტორონტოს საავადმყოფოში ბოლო 11 დღის მანძილზე იმყოფებოდა.

აქამდე, კანადის ბრძოლა ატიპურ პნევმონიასთან დადებითად იყო შეფასებული, რადგან ინფიცირებულთა რიცხვი 140-დან რვამდე შემცირდა. სულ ტორონტოსა და მის შემოგარენში ვირუსმა 24 ადამიანი იმსხვერპლა. მსოფლიოში კი, სარსით 650 ადამიანია გარდაცვლილი.

აშშ-ს და იაპონიის ლიდერებმა ჩრდილოეთ კორეა გააფრთხილეს

REUTERS
ჟუნიტირო კოიძუმი და ჯორჯ ბუში

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტეხასის შტატში საკუთარ რანჩოში იაპონიის პრემიერ-მინისტრი ჟუნიტირო კოიძუმი მიიღო. ორივე ქვეყნის ლიდერებმა ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების წინააღმდეგ გამაფრთხილებელი განცხადებები გააკეთა. ამ გაფრთხილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუკი ჩრდილოეთ კორეის მთავრობის მოქმედება ბირთვული პროგრამების საკითხში ვითარებას კიდევ უფრი გაამწვავებს, ამ ქვეყნის წინააღმდეგ მკაცრი ზომები გატარდება. თუმცა, არც აშშ-ს და არც იაპონიის ლიდერებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ რა სახის ზომებზეა ლაპარაკი.

საინფორმაციო საშუალებების ცნობით, აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ შანტაჟს არ წამოეგება.

ცხადია, რომ ჩრდილოეთ კორეის მისამართით გაკეთებული გამაფრთხილებელი განცხადებები, აშკარად ადასტურებს აშშ-ს და იაპონიის ინტერესების და პოზიციების თანხვედრას ამ საკითხში. **"ჩვენ მოცემულ პრობლემაზე საერთო შეხედულებები გვაქვს. ჩვენ ვერ მოვითმენთ ბირთვული იარაღის არსებობას ჩრდილოეთ კორეაში. ჩვენ არ წამოვეგებით ბირთვულ შანტაჟს. არანაირი პირობა ხელს არ გვაძლევს, გარდა ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის პროგრამების სრული და საბოლოო შეწყვეტისა, რომლის გაკონტროლებაც შესაძლებელია,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე. ამასთანავე, თეთრი სახლის მეთაურმა გამოთქვა იმედი, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებები პრობლემის მშვიდობიან მოგვარებას შეუწყობს ხელს.

მისი თქმით, სიღარიბეში ჩაფლულ ჩრდილოეთ კორეას ჰუმანიტარული დახმარების იმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს, თუკი ის თავისი ბირთვული პროგრამების განვითარებას შეწყვეტს. ჯორჯ ბუშის მტკიცებით, ამერიკის პოზიცია ჩრდილოეთ კორეისათვის, დიდი ხანია, ნათელია და ამჟამად ოფიციალური ფხენიანი პასუხის ფორმაზე ფიქრობს. შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კატეგორიულად მოითხოვს, რომ კრიზისის განმუხტვაში ჩრდილოეთ კორეის მეზობელი ქვეყნებიც აქტიურად ჩაერთონ. ამ კუთხით, რამდენიმე ხნის წინ გამართულ მოლაპარაკებებში ჩინეთის მონაწილეობას ჯორჯ ბუშმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა.

თავის მხრივ, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა რეგიონს უდიდეს საფრთხეს უქმნის. მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ ამ საკითხში იაპონიის და აშშ-ს პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, რაც პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ჯორჯ ბუშმა სამხრეთ კორეის პრეზიდენტი ნო მუ ხენი მიიღო. შეხვედრაზე ლიდერებმა განაცხადეს, რომ თუკი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემა დიპლომატიური გზით არ მოგვარდება, მხარეები სხვა ღონისძიებების განხორციელებას შეუდგებიან.

"ფოქს კიდსი" ბასტი-ბუბუს თანხლებით

როტერდამშიც შევუბერავთ, მაშ!

პირველი გვერდიდან

რა გითხრათ, ვკითხეთ ბავშვებს. არაფერი, ჰელოუ და გუდბაიო...

სულ ეგ იყო? ჰო, კიდევ, ძალიან ხალისიანი იყო.

ცოტა ხანში, ბავშვებმა კიბეები ფეთიანებივით ჩაირბინეს და მინდორზე გაშმაგებულები შეცვივდნენ - "ფოქს კიდსის" ფინალის საზეიმო ცერემონიალის დრო დგებოდა.

"მნიშვნელობა არა აქვს ვინ მოიგებს. თითოეულმა თქვენგანმა საკმაოდ დიდი გზა განვლო, რათა აქ ფინალურ ეტაპზე მოხვედრილიყო. ასე რომ, მიუხედავად იმისა, თუ რომელი თქვენგანი დაეპატრონება ჰოლანდიაში გასამგზავრებელ საგზურს, მინდა გაგამხნევოთ, - თქვენ უკვე ჩემპიონები ხართ", - ბავშვები წინასწარ ანუგეშა "ფოქს კიდსის" მარკეტინგისა და დისტრიბუციის მენეჯერმა გრაჟინა კროფსტმა.

ცერემონიალის შემდეგ ბავშვები ისევ გაიფანტნენ და საკუთარი ჯერის მოლოდინში ტრიბუნებზე მოკალათდნენ. თუმცა, ვიდრე მოედანს დატოვებდნენ ყველას მზერა მოედნის შესასვლელთან მდგარი მაგიდისკენ იყო მიპყრობილი. მაგიდაზე კი თასები და ოქროსფრად მოელვარე მედლები ეწყო.

მას შემდეგ, რაც პირველ მეტოქეთა ვინაობამ რადიო კვანძში გაიჟღერა, სტადიონზე თავშეყრილმა სამასამდე ცნობისმოყვარემ თუ მონაწილეთა ახლობელ-ნათესავებმა, ბავშვებმა ერთი ბასტი-ბუბუ ატეხეს.

რაიო ბიჭო, ოზურგეთის ვინაო?

ოზურგეთის "სიხარულიო" - უპასუხა მეორემ.

"სიხარულიო" - გაიმეორა ცნობისმოყვარემ.

ჰო, ოზურგეთი ქალაქია, "სიხარული" კი გუნდის სახელი.

რას გეტყვი იცი? ...

მცირეოდენი საორგანიზაციო საკითხის მოგვარებამდე, გოგოების გუნდის მწვრთნელმა საკუთარ სამწყსოს რბენასა თუ მოთელვაში გვარიანად ადინა ოფლი. ამასობაში კი მოედნის მეორე მხარეს მეტოქეს მომლოდინე ბიჭების გუნდი დარდიმანდულად ბალახზე წამოკოტრიალებული ნებივრობდა. მალე მწვრთნელიც გამოჩნდა და ბავშვებს რაღაც დაუცაცხანა. შემდეგ დარიგებებიც დაიწყო. ბიჭო, შენებურად ბურთის თრევა არ დაიწყო, სხვებიც ათამაშე თორემ მამაშენიც ვეღარ გიშველის.

გუშინ, გოგონათა ექვსი და ბიჭუნათა შვიდი გუნდი როტერდამში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის ეცილებოდნენ ერთმანეთს. ბუნებრივია, იყო სიხარული და წაგებით გამოწვეული ცრემლები. თამაშები კი ორად გაყოფილ მოედანზე ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა. მოედნის ერთ მხარეს თუ გოგონები დარბოდნენ, მეორე მხარეს ბიჭები დაშლიგინებდნენ. "ფოქს კიდსის" ბურთი კი აღმა-დაღმა დაგორავდა. თითოეული მატჩის შემდეგ მწვრთნელებს ხმა აღარ ჰქონდათ.

ბიჭო! გიორგი! შენ უნდა გამიჩინო ჭაღარა, ანაც - წიე, მუს ორთუქ?. ვეგნომიონათ ჭკუაშე! - ჭკუიდან არ გადამიყვანოო.

მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური კი თავის პატრონს ელოდა. ხობის "მერცხალი", ზესტაფონის "აისი", ხაშურის "დიანა", ლაგოდეხის "მაგრები", ლანჩხუთის "გურია", ბორჯომის "თორი" ეს ის გუნდებია, სადაც გოგონები წიოკობდნენ.

ფინალში კი ერთმანეთის პირისპირ "დიანა" და "აისი" წარსდგნენ. მათი დაპირისპირება მართლაც ფინალის საკადრისი გამოდგა. მატჩის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა და დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო, თანაც ოქროს გოლამდე. აქ კი გამარჯვება ხაშურელებმა მოიპოვეს. ატყდა ერთი ამბავი. ხვევნა-კოცნა, წივილ-კივილი, სიხარულის ცრემლები. დამარცხებულები თავჩაქინდრულები ცრემლებს აღვარღვარებდნენ. საცოდავი საყურებლები იყვნენ.

სიმართლე გითხრათ, არც მეგონა თუ კი თბილისში გამარჯვებას შევძლებდით, - მატჩის შემდეგ გვითხრა "დიანას" დამრიგებელმა თემურ კობერიძემ.

- მოიგეთ, მალე ჰოლანდიაშიც გაემგზავრებით, შემდეგ რას აპირებ, გინდა ფეხბურთელობა? – ვეკითხებით გამარჯვებულთა გუნდის ერთ-ერთ წევრს მარია მესიკოვს.

- კი, ძალიან მინდა, მაგრამ არ გამომიშვებენ.

- სად არ გაგიშვებენ?

- ჩემს ძმას არ უნდა რომ ფეხბურთელი გამოვიდე - ფეხბურთი რა გოგოს საქმეაო.

- ისე, საფეხბურთო მატჩებს თუ უყურებ და ვის ქომაგობ?

- დიახ, ხშირად ვუყურებ და "რეალს" ვქომაგობ.

- შენც "რეალს" ხომ არ ქომაგობ? - მარიას თანაგუნდელს გვანცა ხვედელიძეს ვეკითხებით.

- არა, მე "იუვენტუსი" მიყვარს.

- ელოდი გამარჯვებას?

- ველოდი, იმიტომ რომ არ მეგონა, თუ კი ვინმე ჩვენს დამარცხებას შეძლებდა.

მალე ბიჭების ფინალის ჯერიც დადგა. ფინალში გასასვლელად ერთმანეთს თელავის "ნადიკვარი", ქუთაისის " მუხრანი", ოზურგეთის "სიხარული", ზუგდიდის "ოდიში", ხაშურის "უღელტეხილი", თბილისი და ბორჯომის "ბორჯომი" ეცილებოდნენ. გოგონებისგან განსხვავებით "ოდიშისა" და "ნადიკვარის" ფინალური დაპირისპირება დამატებით დრომდე აღარ მისულა. თელაველებმა თანატოლები 2:1 დაამარცხეს და იგივე სურათი - აღტაცებული სახეები, ბალახზე კოტრიალი, ზედახორა.

- როდესაც თელავიდან გამოემგზავრეთ მშობლებთან რა პირობა დადეთ? – ვეკითხებით თელაველთა მწვრთნელს ლევან ალადაშვილს.

- რომ გავიმარჯვებდით.

- ასე დარწმუნებით?

- აბა რა? ვიცოდი, რომ გავიმარჯვებდით. იმედი მქონდა მაშ.

- ჰოლანდიაში როგორ იქნება საქმე?

- იქაც, იმედით გავემგზავრებით. ბიჭების მჯერა.

- ახლა შინ რომ დაბრუნდებით, ალბათ, ერთი გემრიელადაც შეუბერავთ...

- შევუბერავთ რომელია ჯო, კვირეულს არ მოვაწყობთ რო?

ტურნირის დასრულების შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალის ჯერიც დადგა. ბავშვებს რიგრიგობით ჰკიდებდნენ მედლებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი და "ფოქს კიდსის" წარმომადგენელი გრაჟინა კროფსტი, რომელსაც ბოლოს გავესაუბრეთ კიდეც: "დიდი ხანია ასეთი ფანტასტიური შეჯიბრება არ მინახავს. გამოგიტყდებით ასპარეზობის დონემ მოლოდინს გადააჭარბა. თქვენი გაზეთის მეშვეობით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "რუსთავი 2-ს", რომელმაც ტურნირის საინფორმაციო მხარდაჭერა უზრუნველყო და არა მარტო. ტურნირის ორგანიზაციული მხარეც მაღალ დონეზე იყო შესრულებული. და კიდევ, საოცრად კარგი ფეხბურთელები გყავთ.

- რამე სხვაობა თუ იყო ჩვენსა და სხვა ქვეყნებში ორგანიზებულ "ფოქს კიდსის" თასის გათამაშებაში?

- სხვაობა გათამაშების წესებში არანაირი არ ყოფილა. ერთადერთი სხვაობა რაც თვალში მომხვდა ეს შეჯიბრების დონე, მასმედიისა და გულშემატკივართა ყურადღება გახლდათ. ვფიქრობ, თქვენმა ენთუზიაზმმა "ფოქს კიდსის" მიმართ სხვა ქვეყნებისგან გამოგარჩიათ.

- მომავალ წელსაც აპირებთ ჩამოსვლას?

- ჩამოვალ და მეტი ხნითაც დავრჩები.

წინ კი როტერდამის ხასხასა მოედანია. მალე, ივნისის შუაწელში იქ ქართველი გოგო-ბიჭები უცხოელ თანატოლებში უმთავრესი ტიტულისთვის გააგორებენ ბურთს. მანამდე კი, "ფოქს კიდსის" გათამაშების ერთ-ერთმა სპონსორმა "კოკა-კოლამ" ბავშვები საწარმოში ექსკურსიაზე მიიპატიჟა. ექსკურსიაზე გოგონათა გუნდი - ხობის "მერცხალი" და ფინალში დამარცხებული "ოდიში" წამოვიდა. მარცხისგან მოღუშული ბავშვები "კოკა-კოლას" საწარმოში შედარებით გამხიარულდნენ. ბავშვებს საწარმოში მეგზურობას სოფიკო ჭყონია უწევდა. ბავშვება საკუთარი თვალით ნახეს თუ როგორ ისხმება კონვეირზე "კოკა-კოლა", "ფანტა", "სპრაიტი" თუ "ტროპიკი". შემდეგ კონვეირიდან მოხსნილი "ცხელ-ცხელი" "კოკა-კოლათი" ყელიც ჩააკოკლოზინებინეს. გარეთ გამოსულებს კი "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია ბავშვებს სიურპრიზით შეეგება. თითოეულ მათგანს გამაგრილებელი სასმელის ემბლემით დამშვენებული წითელი კეპები და ასევე წითელი ბურთები დაურიგდათ. რამდენიმე წუთში კი საწარმოს ეზო დაახლოებით სამმა ათეულმა წითელქუდამ დატოვა იმ იმედით, რომ მომავალ წელს "ფოქს კიდსს" დაუბრუნდნენ.

გამარჯვებული ხაშურის "დიანა"

თელავის "ნადიკვარი" როტერდამში მიემგზავრება.

"ფოქს კიდსის" ფინალური დღე

გიორგი ბაბაურის ფოტოები

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ძსერფასლით

შეკითხვის ტექსტი:	პასუხის ტექსტი:
1	
2	
3	
4	
5	

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საქმიანობის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

წესები კითხვის შედგენელთათვის:

კითხვა გადაეგზავნოს "ხალხის პირისპირ" მიღება მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მისამართი. შევსებული ბლანკი ტელეფონიანი ფოსტით მისამართზე სამუშაოდ კომისია "რესპონდენტ 2", ტელეფონზე "ხალხის პირისპირ", ტელეფონზე 43 30077 ითხოვეთ, ან მოიტანეთ ასევე მისამართზე და ნებისმიერ პირველ სართულზე მოთავსებულ სტუდიურ ეკრანში.

სამუშაოდ კომისია "რესპონდენტ 2" უფლებას იტოვებს, ტელეფონის ინსტრუქციებზე გამოსმენილ ინფორმაციაზე ან არ გამოიყენოს ინფორმაცია "რესპონდენტ 2" არ არის ვალდებული, ტელეფონი - ტელეფონები თუ ამა თუ იმ ადგილ მიღ მოწოდებულ შეკითხვის.

ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

ამ ბლანკში შეკითხვათა ნაწილი მოიხსნა ხელი შეკითხვა. შეკითხვათა შეფასებისა და ტელეფონიანი კითხვები ნებისმიერი რაოდენობით.

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ქავქავაძის №25 ტელ:29-48-61

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

მიღება მხოლოდ ერთერ ფურცლის განცხადებები

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასტა-ელი, მომსახურება, სამუშაო, მასწავლება

უფასო განცხადებები, ტექსტი მოთავსდეს სარეკლამო სანახავში მასალაზე, 45 სიტყვაზე მაქსიმალური რაოდენობა 12 ბატონებისგან მიღებული განცხადებები არ გამოსაქვეყნებელია

საბოლოოდ ნახვამდის განცხადებები ერთერ ფურცლის ერთზე არ გამოსაქვეყნებელია

25.05.03 N-141

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.

"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

აფიშა

თეატრები

მარჯანიშვილის თეატრი
ლაშა თაბუკაშვილი "თოვლივით თეთრი თოვლი", რეჟ. ანდრო ენუქიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3-7 ლარი

თავისუფალი თეატრი
"ჭინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

თეატრალური სარდაფი
"უსიერ ტყეში", რეჟ. ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

სამეფო უბნის თეატრი
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

თეატრალური სარდაფი ვაკეში
"ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

საგამოფენო დარბაზები

ძველი გალერეა
ლევან ხარანაულის პორტრეტების გამოფენა

უნივერსი
ჭგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)
„ქარვასლა„

საერთაშორისო გამოფენა Appendix
ნატ მიულერი, ფოამ-ის პრეზენტაცია
ჭგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოღოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მანაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინნურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა

აბრეშუმის ფაბრიკა
Schweizer Int.

დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები

„კლუბი 22„
იოჰან გრიმონპრე

9 აპრილის სახელობის პარკი:
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"

გალერეა „არტ-სინთეზი„
სტივენ ბლუმი

საზოგადოებრივ ადგილებში
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

კინოთეატრები

„ამირანი„
"მატრიცა 2"
დას: 11:00; 14:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 5,6,8,9,10 ლარი
"გემი მოჩვენება"
დას: 17:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

„ელისო„
"ახალდაქორწინებულები"
დას: 15:00, 19:00 ფასი 5,7 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, 21:00 ფასი 5,7 ლარი

„რუსთაველი„
"მაუგლი"
დას: 12:00; 13:30; 15:00; 16:30; 17:45 სთ; ფასი 3,5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 19:00, ფასი 5 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 21:30 ფასი 9 ლარი

ბინები

იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

იყიდება საუკეთესო 3-ოთახიანი სახლი წმინდა სამების ეკლესიასთან ნაკვეთით 350 კვმ. ფასი 16 000$. ტელ: 74-09-12.

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი 100 კვ.მ. სარემონტო ბინა საბურთალოზე. ვაზისუბნის 12-ში. 38-77-56.

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

კომერს. ფართი

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

ვიქირავებ ფართს სასურსათო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.
ტელ: 95-21-46 დღისით
79-44-03 საღამოს ირაკლი.

ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

მანქანები

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32-03-71, 899 298805.

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

სხვადასხვა

ვარემონტებთ და შევისყიდით გერმანული წარმოების ავტომობილებს. ავტოცენტრი "არბატი", სანდრო ეულის 7, ნუცუბიძის ბოლოში, ბანკთან. 8(99) 54 23 18, 8(99) 50 27 30

კომპიუტერული ცენტრი „TOPOS" გთავაზობთ
უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.
მის.: „კოლმეურნეობის მოედანი", პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.

TV პროგრამა 25 მაისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯადოქარი
10.45 საგ.ფილმი „ოქროს ვარდის გამოქვაბული"
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.10 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.00 მხ. ფილმი „კრამერი კრამერის წინააღმდეგ"
21.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „მოსახვევი" 877 45-79-25 შონ პენი, ჯენიფერ ლოპესი, „ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო" 877 45-79-26, ჯერემი აირონსი, პატრისია კაასი, „ფულს სუნი არ ასდის" 877 45-79-27 ლესლი ენ უორენი, მელ ბრუქსი.
00.15 მხ.ფ. „კონფორმისტი" მთ. რ-ში: ჟან ლუი ტრენტინიანი.
02.15 კლასიკა.

პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „ლიფტის ხელმარცხნივ"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „დიდი დასვენება"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.15 შ.რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი „ღია შუშაბანდი"
17.15 მულტსერიალი „ცეროდენა" მე-2 ს.
17.40 ტელეზღაპარი
18.00 ტაიმ-აუტი.
18.20 ფრაგმენტები სურათისათვის
19.00 ოქროს ვექტორი
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 კონცერტი
21.40 „ამგზგენ"
22.15 მეალომანია
22.50 ჩემი მშვენიერი ლედი
23.10 ქართ. ფილმი „ფრო"
00.35 ტაიმ-აუტი
01.05 მხ. ფილმი „სასიკვდილო მტრობა".

IST პირველი სტერეო

10.00 ტროლა
13.00 გან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 სოლო
16.00 ფილმი „კატები ძაღლების წინააღმდეგ" მთ.რ-ში ჯეფ გოლდბლიუმი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
21.15 უცხ. მუსათეული
22.30 პროფათეული
23.00 სოლო 00.00 ფილმი გრავო „ძარცვა" მთ.რ-ში ჯინ ჰეკმანი.
01.40 ფილმი ღამურა „ძარიშხალი" მთ. რ-ში კასპერ ვან დიენი.
03.45 პაუზის გარეშე

2 მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 დოკ. ფილმი
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „არლეტი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ნიკო"
13.30 მხ. ფილმი „სიყვარული და დაშნის ისტორია"
15.00 მხ. ფილმი „გულთან ახლოს"
17.00 მხ. ფილმი „რაზმი ზღვის კატები"
19.00 ინდ. მხ. ფილმი „შურისძიება და კანონი"
22.00 მხ. ფილმი „საჰპერო ციხე"
00.20 მხ. ფილმი „ცდუნება"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „ჭრიჭინა"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმ.)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
15.00 ქიმერიონი
17.00 ოპერა
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „ჩემი კრიმინალური ძია"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „ჯოჯოხეთური ცათამგზენი"
01.00 ღამის ფილმი

მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.00, 19.20, 21.30, 00.10 მუსიკა
10.00 სერიალი „ალეძს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „ვიზიონერები"
11.00 „საუბრები სტუდიაში"
12.00 მხ. ფილმი „აღმოსავლეთ-დასავლეთი"
14.15 დოკ. ფილმი „უბრალოდ ჰიჩკოკი"
15.15 მხ. ფილმი „თავგადასავალი სამოთხეში"
17.05 მულტფილმი „კონკია"
18.00 დოკ. ფილმი „საოცარი სპორტი"
19.00 „ბელისიმო".
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები" - მჭედელი.
20.40 მხ. სერიალი „ფერადი ცხოვრება" 1-ლი ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „გზაზე"
22.15 „ლეო და გეო"
22.30 მხ. ფილმი „პითონი"
00.20 მხ. ფილმი „ახალი კინოთეატრი პარადიზი".

იმედი

11.00, 02.00 ახალი ამგზების დაიჯესტი
11.05, 15.05, 18.00, 01.25 იმედის მელოდიები
12.00 ანიმაციური ფილმი „ფანტომეტა"
12.30 ახ. სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.05 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.30 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე"
14.30 სპორტ. პროგრამა „ასი"
15.25 ქართ. ფილმი „მარტოხელა მონადირე"
17.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის"
18.30 დოკ სერიალი „ისტორიის ერთი კვირა"
19.30 სერიალი „შტოკინგერი"
20.30 ჩ-კლუზივი
21.00 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი"
22.45 „მუღამები"
23.10 მხ. ფილმი „ავი ძაღლი".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 კონცერტი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 „ყველანი ვართ პატარები"
09.20 კომედია „სათამაშო"
10.50 დოკუმენტური ფილმი
11.30 Слово
12.10, 16.10 სამყარო მშვენიერია გავშვები და ხელოვნება
12.15 სათავგადასავლო ფილმი „ზვიგენები-2"
13.55 მელოდრამა „თუნუქის თასი"
16.15 მელოდრამა „მახვილი ძვაში"
17.30 სათავგადასავლო ფილმი „მარადიული სიყვარულის ისტორია"
19.20 სამყარო მშვენიერია გავშვები და ხელოვნება
19.25, 00.40 დოკუმენტური ფილმი
20.40 მხატვრული ფილმი „ლეგენდა სურამის ციხეზე"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
22.20, 00.20 Новости в воскресенье
22.40 Величественное наследие
23.00, 03.20 მუსიკა
23.30 „ძალბატონები"
01.20 კოედია „ჯენტლმენები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ"
04.00 მხატვრული ფილმი „და მთელი სამყაროც არაფერია"

VII არხი

16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბურთი
18.45 „აჩიკუდა"
19.50 კომპიუტერული ტექნიკა
20.30 ავტოტრეკინგი
21.15 კომპიუტერული თამაშები
21.25 „კინოკლუბი „ - „მამაკაცები შავებში".
22.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
23.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.

1 ОРТ

07.10 Сериал „Китайский связной"
08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Приключения Геркулеса"
09.00 Сериал „Твинисы"
09.20 „Служу Отчизне!"
09.50 Дисней-клуб: „Легенда о Тарзане"
10.10 „В мире животных"
11.10 „Непутевые заметки"
11.30 „Пока все дома"
12.05 „Дог-шоу"
12.50 Возвращение к „Титанику". Д.Кэмерон
13.20 „Клуб путешественников"
14.05 „Умницы и умники"
14.35 Дисней-клуб: „Геркулес"
15.10 „Властелин вкуса"
16.05 „Ударная сила". „Бесконтактная война"
16.35 „Большие родители". Н. Хрущев
17.30 „Ералаш"
17.55 Док.сериал „Живая природа"
19.00 „Времена"
20.10 „КВН-2003". Высшая лига
22.30 Театр кукол М.Леонтьева
23.00 Боевик „Самолет президента"
01.15 „Тихий дом". Итоги Каннского кинофестиваля
01.45 Комедия „Фестиваль в Каннах"

РТР

07.00 Худ.фильм „Домовик и кружевница"
08.10 Мультфильм: „Пес в сапогах", „Хитрые старушки"
08.35 Мультсериал „Джуманджи"
09.20 „Русское лото"
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести - Москва.
11.15 „Утренний разговор"
11.50 „Городок". Дайджест
12.20 Комедия „Адский небоскреб". (Франция)
14.10 „Парламентский час"
15.00 Вести
15.20 „Мир на грани"
15.55 „Комната смеха"
16.55 Футбол. Чемпионат России. „Спартак" (Москва) - „Динамо" (Москва)
18.55 Комедия „Бумеранг"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 „Специальный корреспондент"
22.35 Худ.фильм „Свадьба"
00.55 Худ.фильм „Джерри Магуайр"
03.40 Сериал „Семь дней"
04.30 Худ.фильм „Адский небоскреб"

НТВ

07.25 Худ.фильм „Полундра!"
07.55 Худ.фильм „Собачье сердце", 1 с.
09.00, 13.00, 17.00 „Сегодня"
09.20 Худ.фильм „Собачье сердце", 2 с.
10.25 Лотерея „Шар удачи"
10.55 Сериал „Любовь вдовца", 8 с.
11.50 „Растительная жизнь". С.Сорокина
12.30 „Вы будете смеяться!"
12.55 Погода на завтра
13.15 „Влияние"
14.05 Детектив „Перехват"
15.50 „Вкусные истории"
16.05 „Своя игра"
17.20 Играем в „Кено"
17.25 Ток-шоу „Принцип домино". „Как уберечь себя от сглаза?"
18.50 Худ.фильм „Робин и Мэриан"
20.50 Детектив „Сыщики 2". „Уйти и не вернуться", ч. 2
22.00 „Намедни" с Л.Парфеновым
23.30 Триллер „Настоящее преступление"
02.05 Сериал „Клан Сопрано"
03.00 „Журнал Лиги чемпионов"
03.30 „Ночь"

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" წებართვით

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐ

ნინო ქათამაძის, "ინსაითისა" და გოგი ძოძუაშვილის წარმატებული ტანდემი

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

23 მაისს, ნინო ქათამაძემ, საკუთარი ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისი უწოდა. მაგრამ, ეს იყო კონცერტამდე. დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს დღე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაშიც. გუშინწინ სრულიად ახალი პერსპექტივა დავინახე თანამედროვე ქართულ მუსიკალურ სცენაზე. "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამოჩნდა, რომ ჩვენთანაც შეიძლება თურმე, მხოლოდ ადგილობრივი შესაძლებლობებით კარგი კონცერტის გამართვა. კარგ კონცერტში ვგულისხმობ ტექნიკურ მხარესაც და რასაკვირველია, მუსიკალურ დონეს. ერთი სიტყვით კი ამ ყველაფრის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ნინო ქათამაძის, "ინსაითისა" და გოგი ძოძუაშვილის ექსპერიმენტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული საკონცერტო პროექტი პოპულარულ მუსიკაში.

ნინო ქათამაძის მუსიკალურ მონაცემებზე ამ მომღერლის გამოჩენისთანავე ნახევარი საქართველო ალაპარაკდა და ახალი აბა, რა შეიძლება ითქვას. კონცერტამდე ასევე ობიექტურად დადებითი წარმოდგენა მქონდა "ინსაითის" მუსიკოსებზე: ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ბასისტზე, უჩა გუგუნავაზე, გოჩა ყაჭეიშვილსა და ნიკა რუხაძეზე. არც გოგი ძოძუაშვილის სახელია უცხო მათთვის, ვინც სერიოზული მუსიკითაა დაინტერესებული. გოგიმ ფართო მსმენელის ყურადღება რამდენიმე წლის წინათაც მიიქცია, როდესაც მანანა მენაბდესთან ერთად ჩაწერა ცნობილი სიმღერა "ისევ შენ". მაგრამ, გუშინწინდელ კონცერტში მისი მონაწილეობა ჩემთვის მოულოდნელი იყო იმდენად, რამდენადაც სცენაზე ცოცხალ ინსტრუმენტებთან მუშაობა თავად გოგისთვისაც უჩვეულო ამპლუა იყო. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ, გუშინწინდელ კონცერტზე გოგი ძოძუაშვილის როლი უფრო მეტი იყო, ვიდრე ეს უბრალოდ კონცერტის არანჟირებაა. ალბათ ამიტომაც თქვა კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ნინო ქათამაძემ: "გოგი უკვე ჩემია და ძალიან მიხარია". ხოლო, ამდენი პროფესიონალი მუსიკოსი რომ ერთი პროექტით გაერთიანდა, ეს უკვე ყველაზე მეტად ერთი ადამიანის, კონცერტის პროდუსერის ირაკლი ნადარეიშვილის დამსახურებად მიმაჩნია.

ᲒᲝᲒᲘ ᲫᲝᲫᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ

ახალი პროექტი წარმატებული გამოდგა.

გუშინწინდელ კონცერტზე პირველივე მოულოდნელობა კლუბის შესასვლელში დამხვდა. ამ რაოდენობის აუდიტორია "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მხოლოდ რამდენიმე, ისიც უცხოელი მუსიკოსების ჩამოსვლისას მახსოვს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონცერტზე მოსახვედრად მინიმუმ 25 და მაქსიმუმ 50 ლარი იყო გადასახადი, შემიძლია ვთქვა, რომ თბილისში უსწავლიათ კარგი მუსიკის მოსასმენად ფულის გამეტება. რატომღაც არ მეგონა თუ ნინო ქათამაძესა და "ინსაითს" ამდენი თაყვანისმცემელი ეყოლებოდა ჩვენთან. შემთხვევითი მსმენელი კლუბში თითქმის არ მოსულა. ბევრი ისეთიც იყო, ვინც "აჭარა მიუზიკ ჰოლის" ზღურბლი ნინოს მოსასმენად პირველად სწორედ გუშინწინ გადაკვეთა.

კლუბში ყველაფრი უკვე ჩვეულებრივად ხდებოდა, ისე როგორც კარგ კონცერტებზეა ეს მიღებული. სცენაზე მუსიკოსების გამოჩენას სტუმრებით გადაჭედილი კლუბიდან გაბმული შეძახილები და ტაში უძღოდა; აპლოდისმენტებმა პიკს, როგორც მოსალოდნელი იყო, ნინოს ქათამაძის, "ინსაითის" წევრებისა და გოგი ძოძუაშვილის სცენაზე გამოსვლისას მიაღწია. ჩვეულ ამპლუაში იყო ნინო ქათამაძე: "დიდი მადლობა სიყვარულისთვის, იმისთვის, რომ სუნთქავთ, რომ არსებობთ"; იყო ასეთიც: "ჩვენ ჩვენი პატარ-პატარა სიყვარულები ვაგროვეთ, ვაგროვეთ და დღეს ყველანი აქ შევგროვდით", - მსგავს რამეებზე გუშინწინდელი აუდიტორია მაგრად "ვარდებოდა". რაც შეეხება მუსიკალურ რეპერტუარს, ის საკმაოდ განსხვავებული იყო იმისგან, რაც ნინო ქათამაძემ და "ინსაითმა" ბოლო ერთობლივ კონცერტზე შესთავაზეს მსმენელს. თუმცა, რასაკვირველია, გუშინწინ შეასრულეს მათი ცნობილი სიმღერებიც, მაგრამ ახლებური ინტერპრეტაციით. განსაკუთრებით აღვნიშნავდი "ოლე, ოლეს", გოგი ძოძუაშვილისეული არანჟირებით; ხოლო "იების" ოთხი ჩელოს დახმარებით აჟღერებას, ისედაც იმხელა ოვაციები მოჰყვა დარბაზიდან, რომ ოთხი კი არა, სიმებიან საკრავთა მთელი გუნდი რომ ყოფილიყო, მათ ხმას მაინც ვერავინ გაიგებდა. ტრადიციულ და ელექტრონულ ინსტრუმენტებთან ერთად, სცენაზე, შიგადაშიგ, არატრადიციული საკრავებიც გაიელვებდნენ.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

გუშინ წითელ მოედანზე პოლ მაკარტნიმ იმღერა

REUTERS

Back in the USSR; პუტინის საუკეთესო სარეკლამო ნაბიჯი

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც "ბითლზი" იგივეა, რაც მორწმუნეთათვის ბიბლია; ცხოვრების წიგნი თავისი ლეგენდებითა და ჭეშმარიტებებით. ეს ადამიანები ათობით წლებია ერთმანეთს გადასცემენ ერთ-ერთ ლეგენდას იმის შესახებ, როგორ გამართა კონცერტი "ბითლზმა" შერემეტიევოს აეროპორტში. გუშინ ეს ლეგენდა ნაწილობრივ მაინც ასრულდა.

"ბითლზის" ყოფილი წევრებიდან მოსკოვში ნამყოფია მხოლოდ რინგო სტარი. დარჩენილთაგან ერთადერთი, პოლ მაკარტნი 2001 წლის 11 სექტემბერს დაგეგმილი ტურნეს დროს აპირებდა მოსკოვის მონახულებას. მაგრამ, იმ დღეს აეროპორტი დახურეს და ტურნეც ჩაიშალა. მას შემდეგ მაკარტნის ჰქონდა ორი ძალიან წარმატებული გასტროლი ამერიკაში (2002 წლის ყველაზე შემოსავლიანი გასტროლები), ცვლილებები მოხდა პირად ცხოვრებაშიც – დაქორწინდა ხეიბარ ჰიზერ მილსზე, ესწრებოდა ქალიშვილის სტელა მაკარტნის საფირმო ნიშნით გამართულ პირველ ჩვენებებს; გადაიტანა ჯორჯ ჰარისონის გარდაცვალება და საბოლოოდ, მაინც დაუბრუნდა ევროპას მისი ბიოგრაფიიდან ყველაზე ნათელი და ეფექტური ტურნეთი. კონცერტები სერიიდან Back in The World, - ეს არის სამსაათიანი მუსიკა, დაახლოებით 36 მუსიკალური ნომრით, ოცდაათზე მეტი ვიდეოეკრანით, მოცეკვავეებით, მსახიობებითა და ფეირვერკებით. ადამიანს, რომელსაც ეს ყველაფერი თან ახლავს, წითელ მოედანზე უკვე ორმოცი წელიწადია ელიან.

რუსეთში ლეგენდარული მუსიკოსის გაჩერების პირველი პუნქტი სანკტ-პეტერბურგი იყო. მაკარტნი პეტერბურგს "მენშიკოვის ფონდის" მიწვევით ესტუმრა. იქ მას პეტერბურგის კონსერვატორიის დოქტორის დიპლომი გადასცეს. კონსერვატორიის მცირე დარბაზში როკ-ვარსკვლავს რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილო-დასავლეთ ფედერალურ ოლქში ვალენტინა მატვიენკო შეხვდა. ოფიციალურმა წარმომადგენელმა მუსიკოსს წიგნი აჩუქა პეტერბურგის შესახებ. გუშინვე მაკარტნის პირველ და ერთადერთ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ასევე წითელ მოედანზე გაიმართა, 200-მდე ჟურნალისტი შეიკრიბა. გუშინვე დაიწყო ფოტოგადაღებები მაკარტნისა და მისი ახალი ჯგუფის მონაწილეობით. ფილმზე ყველა უფლება რუსეთის ტელევიზიის პირველ არხს აქვს. ნამუშევარს რუსეთის ფართო საზოგადოება კონცერტიდან ათი დღის შემდეგ იხილავს.

მოსკოვში გუშინდელი ისტორიული კონცერტისთვის სამზადისი კარგა ხანია დაიწყეს. მოსკოვის მეტროპოლიტენში სამუშაო ფორმებიც კი გაამრავალფეროვნეს; აღარაფერს ვამბობ ტყე-პარკებში მორიგე ცხენოსანი მილიციელების გაძლიერებაზე. რამდენიმე დღის განმავლობაში სცენას 250-მდე კაცი აწყობდა; საკონცერტო აპარატურა კი წითელ მოედანზე 20 სატვირთო მანქანით მიზიდეს. კრემლის მოედანზე დაგეგმილ კონცერტს მაკარტნიმ საკუთარი მსოფლიო ტურნეს "განსაკუთრებული ეტაპი" უწოდა. "მე დავწერე Back in the USSR, ისე, რომ თავად იქ არასდროს ვყოფილვარ", - თქვა "ექს-ბითლმა", - ცივი ომის" დროს, ჩვენ მოხიბლულები ვიყავით იმით, რომ "ბითლზი" იცოდნენ საიდუმლოებით მოცულ რუსეთშიც კი". სიმღერა Back in the USSR მაკარტნიმ გუშინდელ საკონცერტო პროგრამაში მეოცე ნომრად იმღერა.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲓᲔᲜᲖᲔ

გივი ყანდარელის პერსონალური გამოფენა

ᲐᲜᲐ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ-ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

შარდენის ქუჩა მართლაც გალამაზდა – სუფთაა, კოხტად მოკირწყლული. ახლა მასზე მდებარე გალერეებსა და სამხატვრო სახელოსნოებსაც სულ სხვა პეწი აქვს, ძალიან სტუმართმოყვარედ გამოიყურება, განსაკუთრებით მაშინ, როცა რამე გამოფენა იხსნება ხოლმე. მართალია, ამ მშვენიერ ქუჩაზე ნაგვის ყუთების დადგმა მაინც დაიზარეს, რაც გამვლელებს და დარბაზებიდან გამოსულ მწეველებს ცუდი საქციელისკენ უბიძგებს, მაგრამ რას იზამ.

შარდენის ქუჩის რეკონსტრუქციის წყალობით გარემონტებულ და მოვლილ სახელოსნოში გუშინ გივი ყანდარელის გამოფენა გაიხსნა. პირველ სართულზე მის სახელოსნოში მომუშავე ახალგაზრდა გობელენის ოსტატების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი, მეორე სართულს თავად მაესტროს, ბატონ გივის გობელენები ამშვენებდა, ხოლო მესამე სართული მის აკვარელებს დაეთმო.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ

მხატვრის მეუღლე საკუთარ პორტრეტთან

ასეთი ფართომასშტაბიანი გამოფენის ორგანიზების ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ წელს, თებერვალში, ქართული გობელენის ცნობილ ოსტატს 70 წელი შეუსრულდა – თუმცა რამდენიმე თვის დაგვიანებით გახსნილი, მაგრამ მაინც საიუბილეო გამოფენა გახლავთ. ამიტომ დარბაზებში გივი ყანდარელის ბოლო ნამუშევრების გარდა ძველი, უკვე ცნობილი და საყვარელი გობელენები და ნახატებიც იყო გამოფენილი.

ის, რომ ბატონი გივის შემოქმედებას მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა, ისედაც ვიცოდით, მაგრამ ასეთი ხალხმრავლობა მაინც მოულოდნელი იყო. ბოლოს დარბაზებში იმდენად ჩამოცხა, რომ გამასპინძლებას ვეღარ დაველოდეთ, არადა, ფერადი ბუტერბროტები ერთობ მაცდურად გამოიყურებოდა...

ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში წარმოდგენილი ოცდაათი პეიზაჟი ფასდაუდებელია. არ გეგონოთ, რომ ტიპიურ კლასიკურ ფერწერულ შედევრებთან გვაქვს საქმე, რომლის შეხედვაზეც ასევე კლასიკური ტიპის მძარცველს, ისევ და ისევ კლასიკური შეკითხვა დაებადება: "როგორ მოვიპაროთ მილიონი?" ამ ფოტოებზე დაფიქსირებული პეიზაჟი მართლაც მილიონები ღირს და მათ მართლაც იპარავენ: "ეს გამოფენა აუცილებლად უნდა ნახონ როგორც ბუნების მოყვარულებმა, ისე მისმა მტრებმა. ამ უკანასკნელთა წყალობით, უკვე განადგურდა ბორჯომ-ბაკურიანის პარკი", -ასეთი ფრაზები გაისმოდა გამოფენის გახსნაზე.

წარმოდგენილ ოცდაათ ფოტოპეიზაჟზე ახლადშექმნილი "თუშეთის ეროვნული პარკი" და "დაცული ლანდშაფტი", "ვაშლოვანის ეროვნული პარკი", "ლაგოდეხის ხედები" თუ კავკასიონია დაფიქსირებული. ამ ოცდაათი უნიკალური ფოტოს ავტორი ბატონი პაატა შანშიაშვილია. ის წლების განმავლობაში ლანდშაფტის აქრიტექტურაზე მუშაობს. დღესდღეობით ბატონი პაატა გრანდიოზული პროექტის, "საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების" ავტორია. ცნობისათვის: საქართველოში შერჩეული ტერიტორია და კავკასიის რეგიონი მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი გლობალური მნიშვნელობის ეკო-რეგიონი თავისი უნიკალური ბიოლოგიური, ლანდშაფტური და კულტურული მრავალფეროვნებით. ევროპაში პირველად 1909 წლის 24 მაისს შეიქმნა პირველი ცხრა ეროვნული პარკი. მას შედმეგ 24 მაისს ევროპა ბუნებრივი მემკვიდრეობის დღეს აღნიშნავს. მაგალითად, წელს რუმინელმა ბავშვებმა ტყეში ხის ტოტებზე თავიანთი ნამუშევრები გამოფინეს. ინგლისში ნატურალისტური ექსპედიცია მოეწყო, ესპანეთში კი, პარკების მესამე ეროვნული კონფერენცია გაიმართა.

წელს საქართველო და "დაცული ტერიტორიების ცენტრი" ამ თარიღს რვა ახლად დაცული ტერიტორიითა და ამ ფოტოგამოფენით შეუერთდა.

კომპლიმენტების კორიანტელი თბილისის „სამიტზე"

პრეზიდენტებმა ტაში არ დაიშურეს

გავლენიანმა პრეზიდენტმა სეფე-სიტყვაში საქართველოს მოკავშირეობა დაადასტურა

პირველი გვერდიდან

გახსნის საზეიმო ცერემონია ნახევარი საათით გვიან, ბაზაზე ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგ დაიწყო. ორმა პრეზიდენტმა სიმბოლური ღენტი გადაჭრა და მესამეს – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას მრავალჟამიერის აკომპანემენტის ქვეშ ასევე სიმბოლური გასაღები გადასცა. იმის აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, თუ ბაზის შენობაში შესულმა მაღალმა სტუმრებმა რომელი ოთახები და სათავსოები დაათვალიერეს. ფაქტი ერთია: ქართულმა ფეხბურთმა ფიფასაგან მართლაც ბრწყინვალე საჩუქარი მიიღო – დასავლურ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სავარჯიშო-საწვრთნელი კომპლექსი, რომლის დარიც, ბლატერის შეფასებით, მთელს აღმოსავლეთ ევროპაში ძნელად თუ მოიძებნება.

მერაბ ჟორდანია: ბლატერის ხელშეწყობით ქართული ფეხბურთი ვითარდება

"ქართული ფეხბურთის ისტორიაში დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ჩვენი სტუმარია მსოფლიო საფეხბურთო ოჯახის პირველი პირი. სწორედ იოზეფ ბლატერის ხელშეწყობით და პატრონაჟით ხდება ქართული ფეხბურთის განვითარება და დღეს რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი გვაქვს საწვრთნელი კომპლექსის და ფეხბურთის ტექნიკური ცენტრის სახით, მისი დამსახურებაა. ტრადიციისამებრ, ქართული ფეხბურთის მიერ წინგადადგმულ ამ ნაბიჯში თავისი დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, რომლის პირადი მითითებით გამოიყო ტერიტორია ბაზის მშენებლობისათვის. ბატონი პრეზიდენტის მზრუნველობა და ყურადღება ქართული ფეხბურთის მიმართ არ ნელდება", - ასეთი შეფასება მისცა სფფ-ს პრეზიდენტმა, მერაბ ჟორდანიამ ორი პრეზიდენტის ღვაწლს.

ზეპ ბლატერი: დიდი პატივია, რომ ამ სიხარულს ბატონი შევარდნაძეც იზიარებს

"მერაბ ჟორდანიამ სწორად აღნიშნა – დღეს მართლაც ისტორიული დღეა, არა მხოლოდ ქართული ფეხბურთისთვის, არამედ, ფიფასთვისაც. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ სიხარულს, ჩვენთან ერთად, ბატონი შევარდნაძეც იზიარებს. მან დრო და რესურსები გამონახა ამ საქმის წარმატებით განხორციელებისთვის, რასაც ფიფა დიდად აფასებს. სამწუხაროდ, ქვეყნების პირველი პირების ყურადღებით არ ვართ განებივრებული. ათმაგად სასიხარულოა, რომ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, პოლიტიკოსი, რომლის სახელსაც უკავშირდება ცივი ომის დასასრული და ევროპის გამთლიანება და რომელიც თანამედროვე მსოფლიო ისტორიას ქმნის, ამ თვალსაზრისით გამონაკლისია", - ასეთი კომპლიმენტების წარმოთქმის შემდეგ, ბლატერმა ედუარდ შევარდნაძისგან წინა დღით მიღებული ღირსების ორდენისთვის "სამაგიერო გადაიხადა": საქართველოს პრეზიდენტი ფიფას მედლით დააჯილდოვა.

ედუარდ შევარდნაძე: ხვალ, ალბათ, პრეზიდენტებს ფეხბურთის თამაშიც მოგვიწევს

"გილოცავთ დღევანდელ დღეს. ამ მშვენიერი ბაზის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს არა მხოლოდ საფეხბურთო და სპორტულ ცხოვრებაში. ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ქართული ფეხბურთის აღორძინების და განვითარების საქმეში. ერთი წლის წინ "ქართული ფეხბურთის სახლის" გახსნას დავესწარი, დღეს ფეხბურთის ტექნიკური ცენტრი და ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა გავხსენით, ხვალ, ალბათ, პრეზიდენტებს ფეხბურთის თამაშიც მოგვიწევს", - მისთვის დამახასიათებელი იუმორისტული პასაჟიც გაურია მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს პრეზიდენტმა.

ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის ეროვნული ნაკრების საწვრთნელი კომპლექსის – "ბასას" გახსნის საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ, ფიფას პრეზიდენტი "ქართული ფეხბურთის სახლის" და "ლოკომოტივის" ხუთვარსკვლავიანი სტადიონის მოსანახულებლად გაემგზავრა. სწორედ იმ წუთებში "ლოკომოტივის" სტადიონზე მიმდინარეობდა "რუსთავი 2"-ის, პარტნიორი ტელეკომპანიების და "24 საათის" მიერ ორგანიზებული ტურნირის "ფოქს კიდსის" თასის გათამაშების ფინალური ეტაპი, რამაც ფიფას პრეზიდენტის დიდი კმაყოფილება და მოწონება დაიმსახურა. ბლატერი პირადად შეხვდა და მიესალმა მონაწილე ბავშვებს, შემდეგ კი პრესკონფერენცია გამართა.

"რაც მე აქ ვნახე, ძალზე შთამბეჭდავია. ბრწყინვალე ტექნიკური ცენტრი და ნაკრების ბაზა, ფედერაციის ოფისი და მსოფლიო სტანდარტების სტადიონი – საქართველოში ფეხბურთი სწორი გზით ვითარდება. გუშინ ქართულ საფეხბურთო ოჯახთან შეხვედრის, ქართული ფეხბურთის ისტორიის და ტრადიციების გაცნობის საშუალებაც მომეცა. ბედნიერი ვარ იმით, რომ საქართველოში მიმიღეს, როგორც ამ ქვეყნის მეგობარი", - განაცხადა შესავალ სიტყვაში ბლატერმა.

ფიფას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ფეხბურთის ტექნიკური ცენტრის და საწვრთნელი კომპლექსის "ბასას" აშენება ამ ორგანიზაციის მიერ დაარსებული ფინანსური დახმარების პროგრამა "გოლის" მილიონდოლარიანი გრანტის ფარგლებში განხორციელდა. "ეს პროგრამა მსოფლიოს 97 ქვეყანაში მოქმედებს და ყველა ეს ქვეყანა ფიფასაგან, გრანტის სახით, ყოველწლიურად 250 ათას დოლარს იღებს. ეს დახმარება მომავალშიც გაგრძელდება. თუმცა, ბაზის მშენებლობის მარტო ჩვენი ორგანიზაციის დამსახურებად ჩათვლა უსამართლობა იქნებოდა. ფიფა არც არის ისეთი უწყება, რომელიც მსგავს პროექტებს მარტო აფინანსებს. რომ არა თქვენი ქვეყნის პრეზიდენტის, ქალაქის მუნიციპალიტეტის და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევა, დღეს ეს ბაზა არ იარსებებდა", - განაცხადა ბლატერმა.

პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ფეხბურთთან დაკავშირებული საკითხებიც წამოიჭრა.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია, მცირე ხნის წინ, ფიფაში ინიციატივით შევიდა, რომლის მიხედვითაც, ეს ორგანიზაცია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდების რაოდენობის 32-დან 36-მდე გაზრდას უჭერს მხარს. ფიფას პრეზიდენტი ამ ცვლილების განხორციელების წინააღმდეგია: "ერთი შეხედვით, თუ მონაწილეთა რაოდენობას გავზრდით, ფინალურ ეტაპზე მატჩების რაოდენობაც და გულშემატკივრების ინტერესიც მოიმატებს, მაგრამ, რაც ქაღალდზე მშვენივრად გამოიყურება, რეალობაში ძალიან ბევრ პრობლემას წარმოშობს. გადასახედი და შესაცვლელი ხდება შესარჩევი ტურნირის დებულება და საგზურების განაწილების წესი, ფინალური ეტაპის ჩატარების სისტემაც რთულდება. ამ დროს, ფეხბურთი ყველაზე მარტივი და დემოკრატიული თამაშია – იგი ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. თუ 1978 წელს არგენტინის მუნდიალზე 16 გუნდი თამაშობდა, დღეს ეს რიცხვი 32-მდეა გაზრდილი და ამ რიცხვის დადგენაში სერიოზული გამოთვლითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები დაგვეხმარნენ. მიმაჩნია, რომ ფინალური ეტაპისთვის გუნდების ოპტიმალური რაოდენობა გვაქვს შერჩეული და მასში ცვლილებები ახლო მომავალში არ განხორციელდება."

ბლატერი მიიჩნევს, რომ ისეთი პატარა ქვეყნების ნაკრებ გუნდებს, როგორიცაა საქართველო, საფეხბურთო "მონსტრებთან" ჭიდილის ძალა შესწევთ, მაგრამ ამისათვის ქვეყნის შიგნით საფეხბურთო მეურნეობა სწორად უნდა გამართონ: "დღეს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა 80 პროცენტი უცხოეთის კლუბებში თამაშობს. ეს ცუდი არ არის, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ მაღალი კლასის ყველა ფეხბურთელის გადინება არ მოხდეს და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონე გარკვეულ სტანდარტებს აკმაყოფილებდეს. სენეგალმა და სლოვენიამ ამ გზით მიაღწიეს წარმატებებს და კორეა-იაპონიაში ისეთ გუნდებს აჯობეს, როგორებიცაა საფრანგეთი და არგენტინა."

ბლატერი ფიფასთვის მტკივნეულ თემას, მსაჯობასაც შეეხო და განაცხადა, რომ დროა, საფეხბურთო "შავოსნები" სრულ პროფესიონალიზმზე გადავიდნენ. "ფეხბურთის მომავლის გასაღები – მსაჯების სრულ პროფესიონალურ რელსებზე გადაყვანაშია. განცვიფრებული ვარ, რომ ამ იდეის განხორციელებას ყველაზე უფრო მსაჯთა საერთაშორისო ასოციაცია უშლის ხელს. ჩემი აზრით, მსაჯები საკუთარი საქმის ისეთივე პროფესიონალები უნდა იყვნენ, როგორიც სტადიონის ადმინისტრაცია, მომსახურე პერსონალი, უსაფრთხოების სამსახური, მწვრთნელები და ფეხბურთელები არიან."

და ბოლოს, ბლატერმა განაცხადა, რომ ეს საქართველოში მისი პირველი და უკანასკნელი ვიზიტი არ იქნება და თბილისში კიდევ გვეწვევა, თანაც, აუცილებლად.

პრესასთან შეხვედრის შემდეგ, ფიფას პრეზიდენტი თბილისის კონიაკის ქარხანაში გაემგზავრა, საღამოს კი საკუთარი თვითმფრინავით ციურიხისკენ აიღო გეზი.



ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

N8

თბილისში 9 - 11 მაისს ჩატარდა საქართველოს პირველობა წყვილთა შორის. მოწვეული იყო წყვილი სომხეთიდანაც. პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს ჩემპიონი გახდა წყვილი რ.ბურდიაშვილი - გ.უჩავა, მეორეზე გავიდნენ სტუმრები ა.სიმონიანი - ე.ვართანიანი, მესამეზე ნ.მახათაძე - ლ.ჯამბურია.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბრიჯის ფედერაცია საკმაო სიძნელეებს განიცდის. მას, და არა მარტო მას, არავითარი ყურადღება არ ექცევა. არა და ეს მშვენიერი სპორტია, რომელიც აზროვნების განვითარებას ხელს უწყობს.

ამ ტურნირის ერთ-ერთი დარიგება იყო:

♠ 7
♡ K 8 6 5 4 3 2
◇ A 10
♣ A K 8

♠ V 6
♡ A
◇ D V 6 5
♣ D 10 7 6 4 2

N / W E / S

♠ D 4 3
♡ V 10 9
◇ 9 7 3 2
♣ 9 5 3

♠ A K 10 9 8 5 2
♡ D 7
◇ K 8 4
♣ V

ამ დარიგებაში ზოგმა წყვილმა დანიშნა მცირე შლემი, თულფით გული, გამთამაშებელი N.

პირველი სვლა E-დანაა და ყველა მაგიდაზე, ერთის გარდა, ერთნაირად დაიწყეს, ჯვრით. აუქციონის დროს W-მ დაასახელა ჯვარი. E-ს არაფერი არა აქვს და ერთადერთი შესაძლებლობა დაეხმაროს თავის პარტნიორს კონტრაქტის ჩაგდებაში ეს ჯვრით სვლაა. E-მ უნდა ივარაუდოს, რომ მას სვლა აღარ ექნება.

თულფის გარდა ყველა ფერში ორ-ორი აღებაა. გამთამაშებელი თულფით თუ ექვსს აიღებს კონტრაქტი შესრულებულია. ეს დამოკიდებულია მოწინააღმდეგის ხელში თულფის განაწილებაზე. განაწილებისას 3-1, თუ ტუზი სამთანაა კონტრაქტი ჩავარდნილია.

სწორედ არსებული განაწილება და განაწილება 2-2 იძლევა შანსს კონტრაქტის შესასრულებლად.

ამ შემთხვევაში გადასაწყვეტია რომელ ვარიანტზე ვჩერდებით. თუ 2-2-ზე მაშინ ვიწყებთ მცირე თულფით და თუ ტუზი არ დაიდო ვდებთ დიდს, რათა ვაიძულოთ ტუზი დაიხარჯოს.

თუ ტუზი მარტოა, მაშინაც ვიწყებთ მცირე თულფით, ოღონდ კარგი იქნება ტუზის წინ, ანუ S-დან, რადგან აუქციონში W ჩაერია და ალბათ ტუზიც მასთანაა.

ბოლოს და ბოლოს გეგმა შემდეგია, ვიღებთ ჯვარს, გადავდივართ მაგიდაზე აგურით, გამოვდივართ თულფის 7-ს და ვხედავთ რა ტუზს, გუნებაში თავისუფლად ამოვისუნთქავთ. ღიად ეს არ შეიძლება, ბრიჯის ეტიკეტი ამის უფლებას არ იძლევა. კონტრაქტი შესრულებულია.

საქართველოს პირველობაზეც უმეტესობა ასე მოიქცა და მაღალი შეფასებებიც მიიღო. მხოლოდ ერთ მაგიდაზე ჩავარდა კონტრაქტი.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ აუქციონის წამოწყებაზე. როგორ იქცევა მეორე მთქმელი?

თუ მის წინ ითქვა "პას", შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აუქციონის დამწყები თვითაა და სათანადოდაც იქცევა. ერთი შემთხვევა არის გასათვალისწინებელი, თუ თქვენ წინ ითქვა სამი პასი. ამ შემთხვევაში თქვენ არ უნდა გამოიყენოთ "ჯებირი" და თუ გაქვთ ათიოდე ქულა და შვიდკარტიანი ფერი, უნდა განაცხადოთ ერთი ამ ფერში. შესაძლოა ეს აღმოჩდეს საბოლოო კონტრაქტიც.

განვიხილოთ თანმიმდევრულად სხვადასხვა განაცხადი.

ვთქვათ თქვენ წინ ითქვა 1 რომელიმე ფერში. თუ თქვენ გაქვთ 7 ქულაზე ნაკლები, უნდა თქვათ "პას".

ბუნებრივია, იმ შემთხვევაში თუ თქვენ ერთი ფერის ცამეტიდე კარტი ხელზე გაქვთ, პირდაპირ ამბობთ 7-ს ამ ფერში. ამგვარ იშვიათობებზე მომავალში არ ვისაუბრებთ.

7 - 12 ქულის ფარგლებში განაცხადის რამდენიმე შესაძლებლობაა. შვიდკარტიანი ფერით უნდა განაცხადოთ 3 ამ ფერით, ისევ ჯებირი. თუმცა უნდა გაითვალისწინოთ, რომ ჯებირის ეფექტიანობა ოდნავ ნაკლებია, რადგან მოწინააღმდეგემ უკვე გასცა რაღაც ინფორმაცია.

თუ გაქვთ შესაძლებლობა განაცხადოთ პირველ დონეზე თქვენთვის სასურველი ფერი, უნდა განაცხადოთ იგი. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს ფერი ამჯერად უფრო სოლიდური უნდა იყოს, არანაკლებ 5 კარტისა და რაღაც ქულებიც ამ ფერში. თუ თქვენი სასურველი ფერის გამოსაცხადებლად იძულებული ხართ მეორე დონეზე ახვიდეთ, მაშინ თულფში უნდა გქონდეთ 6 კარტი.

თუ გაქვთ 12 - 15 ქულა, მაშინ ორი შესაძლებლობაა, "კონტრ" და ფერი ნახტომით. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ "კონტრ" ითქმება თუ მოწინააღმდეგის მიერ გამოცხადებულ ფერში ორზე მეტი კარტი არა გაქვთ და დანარჩენი სამივე ფერი თულფად თქვენთვის მისაღებია, ხოლო ნახტომით ფერის გამოცხადება, თუ ამ ფერში 6 კარტი გაქვთ და მასში საკმაო ქულებიც.

16 ქულითა და მეტით, თუ ქულები თანაბრადაა განაწილებული და მოწინააღმდეგის ფერი კარგად დაცული "1 უთულფო", ყველა სხვა შემთხვევაში "კონტრ", ფერს შემდგომში დააზუსტებთ.

ძალიან ძლიერი ხელით (24 ქულა და მეტი) მეორე დონეზე განცხადებულ ფერს იმეორებენ. ბუნებრივია, პარტნიორმა ეს არ უნდა გაიგოს თულფის შეთავაზებად (ეს ხომ მოწინააღმდეგის ფერია). ეს ვითარება საკმაოდ იშვიათია.

მოვიტან ცხრილს. ვიგულისხმოთ, რომ თქვენი პარტნიორის წინ მოწინააღმდეგემ გამოაცხადა "1♡".

როგორ უნდა გაიგოთ თქვენი პარტნიორის განაცხადი:

პას	7 ქულაზე ნაკლები
კონტრ	12 - 15 ქულა, 2 ან ნაკლები გულში, სხვა ფერები თანაბრად ან 16 ქულა ან მეტი
1♠	7 - 12 ქულა და 5 კარტი ყვავში "კონტრ"-ს ვერ ვამბობ
1უთ	16 - 19 ქულა, თანაბარი განაწილება, გული დაცულია
2♣	7 - 12 ქულა და 6 ჯვარი "კონტრ"-ს ვერ ვამბობ
2◇	7 - 12 ქულა და 6 აგური "კონტრ"-ს ვერ ვამბობ
2♡	24 ქულა ან მეტი
2♠	16 ან მეტი ქულა, 6 კარტი ყვავში, 2 ან ნაკლები გულში
2უთ	20 - 23 ქულა, თანაბარი განაწილება, გული კარგად დაცული
3♣	16 ან მეტი ქულა, 6 კარტი ჯვარში, 2 ან ნაკლები გულში
3◇	16 ან მეტი ქულა, 6 კარტი აგურში, 2 ან ნაკლები გულში

ამ და წინა პუბლიკაციაში შეევცადე ამეხსნა აუქციონის ორი პირველი ნაბიჯი. იმედი მაქვს, რომ დაინახეთ რაოდენი ინფორმაციის გადაცემა შეიძლება ჯერ მხოლოდ ერთი განცხადებით. შემდგომ პუბლიკაციებში მოგაწვდით უკვე პარტნიორის პასუხებს. თქვენ დაინახავთ, თუ რა სიზუსტით არის შესაძლებელი დაინახოს მოთამაშემ კარტის განაწილება. ამის შემდეგ უკვე მის კომბინაციურ შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული მოძებნოს გათამაშების ოპტიმალური გზა.

თქვენ უკვე ნახეთ, რომ სპორტულ ბრიჯში კარტის მოსვლაზე არ არის დამოკიდებული გამარჯვება. შედეგი დამოკიდებულია მხოლოდ მოთამაშის მიერ კარტის განაწილებით მოცემული შესაძლებლობის რეალიზაციაზე. ვინც ამას უკეთესად შეძლებს, ის იმარჯვებს.

აუქციონის მიმდინარეობისას წყვილიდან ხან ერთი პარტნიორია მეტად ინფორმირებული და ხან მეორე. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ინფორმირებული პარტნიორი, მეორე მას ემორჩილება.

მომდევნო პუბლიკაციებში გაგაცნობთ უკვე პარტნიორის პასუხებს. ეს უფრო რთული და მრავალფეროვანია, სამაგიეროდ უფრო საინტერესოც.

N9

შეჯიბრი ბრიჯში იმართება არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ კომპიუტერულ პროგრამებს შორისაც.

ერთ-ერთ ამგვარ შეხვედარაზე ბრიჯის სათამაშო პროგრამებს Blue Chip-სა და MicroBridge-ს შორის გათამაშდა ხელი (დიაგრამა გვერდით).

როგორც ყველა შეჯიბრებაზე N-S ხაზზე ერთხელ იყო პროგრამა Blue Chip და მეორედ პროგრამა MicroBridge.

აუქციონი დაიწყო W-დან.

♠ 9 8 7
♡ 10 7
◇ A 9 3
♣ A J 10 6 3

♠ A K Q 2
♡ 4 2
◇ K Q J 8
♣ Q 4 2

N / W E / S

♠ J 10 4
♡ A Q J 9 6
◇ 10 7 5 4
♣ K

♠ 6 5 3
♡ K 8 5 3
◇ 6 2
♣ 9 8 7 5

შეეცადეთ განსაზღვროთ აუქციონიც და შემდგომი გათამაშებაც.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

TV-სპორტი

კვირა. 25 მაისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 "FUTBOL MUNDIAL"
13:55 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-3 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:20 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნანტი" - "ოლიმპიკი"
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" – "ვერდერი"
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. "კრილია სოვეტოვი" - "სპარტაკ-ალანია"
21:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:25 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "სელტა" – "დეპორტივო"
01:10 თავისუფალი დარტყმა

НТВ + СПОРТ
06:00 NBA-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00, 13:45, 17:15, 21:30 "პრეს-ცენტრი"
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 NBA-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი
14:00 მხატვრული ტანვარჯიში. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია სამარადან
16:30 "ფარი და მახვილი"
17:30 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 "ტანჟერის ფერის მონადირეები"
20.30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის წინ
20:45 ჩიგბურთი
21:45 "დიდი რინგი"
23:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. "სელტა – "დეპორტივო". პირდაპირი ტრანსლაცია
01:40 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბელგრადში

EUROSPORT
11:30 რალი რეიდი
12:00 სუპერრბოლა გამოსასვლელ დღეებში
13:00 მოტორბოლები. საფრანგეთის გრან-პრი. ლე-მანი
13:30 მოტორბოლები. საფრანგეთის გრან-პრი. ლე-მანი
14:00 მოტორბოლები. საფრანგეთის გრან-პრი. ლე-მანი
15:15 მოტორბოლები. საფრანგეთის გრან-პრი. ლე-მანი
16:30 მოტორბოლები. საფრანგეთის გრან-პრი. ლე-მანი
18:15 სუპერრბოლა გამოსასვლელ დღეებში
19:15 ველოსპორტი. "ჯირო დ`იტალია".
20:15 ახალი ამბები
20:30 მაგიდის ჩოგბურთი
21:00 მძლეოსნობა. სუპერგრან-პრი. აშშ
22:00 სუპერრბოლა გამოსასვლელ დღეებში
23:00 კრივი
01:00 ახალი ამბები
01:15 ავტორბოლა. "ნასკარი". "ვინსტონის" თასის ეტაპი. აშშ
02:15 ავტორბოლა "ინდიკარი". აშშ-ს ეტაპი
04:15 ახალი ამბები